ალმა მატერი
უნივერსიტეტი

29 ივნისი, სამშაბათი, 2010 წ. №7 (2103)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი სპორტული დარბაზი თსუ-ში

24 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ეწვივნენ. სტუმრებმა თსუ-ის რექტორთან, გიორგი ხუბუასთან ერთად უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ახალი სპორტული დარბაზი გახსნეს.

ღონისძიებაზე საუნივერსიტეტო საკალათბურთო ლიგის დაარსების შესახებ განცხადება გაკეთდა. თსუ-ის ბაზაზე საკალათბურთო ლიგა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩამოყალიბდა.

„დღეს კალათბურთის ლიგა მეორედ იბადება. 6 უმაღლესი სასწავლებლის გუნდები ლიგაში გაერთიანდებიან და მომავალი სეზონიდან საუნივერსიტეტო ჩემპიონატში ერთმანეთს შეეჯიბრებიან“, – განაცხადა განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

ამ ინიციატივას მნიშვნელოვანი უწოდა კულტურის მინისტრმაც. „მსგავს პირობებში ახალი ინიციატივა დროულია. უნივერსიტეტების წარმომადგენლები ერთმანეთს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეეჯიბრებიან, აღდგება მრავალწლიანი საუნივერსიტეტო სპორტული ტრადიცია და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მომავალში სწორედ ამ ლიგის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება“, – აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟ კალათბურთელთა გუნდი საქართველოს ვიცე–ჩემპიონია. თსუ–ს ასევე საქართველოს ჩემპიონი კალათბურთელ ქალთა გუნდი და ქალ ფრენბურთელთა გუნდი ჰყავს, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ თურქეთში ჩემპიონობა მოიპოვა.

დღეიდან სტუდენტები თანამედროვე სტანდარტების სპორტულ დარბაზებში ივარჯიშებენ. „განათლების სამინისტროს დაფინანსებით შეკეთდა უნივერსიტეტის სპორტული ინფრასტრუქტურა, დარბაზები აღიჭურვა თანამედროვე და საჭირო ინვენტარით, ასეთ გარემოში სტუდენტებისთვის ახალი სპორტული ცხოვრება იწყება და ვფიქრობ, თითოეული მათგანი კმაყოფილი დარჩება“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

რემონტი ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის 2009 წლის 25 აგვისტოს „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების" პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. თსუ-ის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი სახსრებიდან დაიხარჯა 794 879 ლარი. მათ შორის: XI (ბიოლოგების) კორპუსის სარემონტო სამუშაოებზე — 518130 ლარი, (მე-11 კორპუსში დაახლოებით 7 500 კვ.მ. ფართი გარემონტდა. მათ შორის: 60 ოთახი, 37 აუდიტორია, 12 კომპიუტერული კლასი და 1 რესურსცენტრი. ასევე, ძირითადი აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის 38 სამუშაო ოთახი, რომელიც დაკომპლექტდა ახალი ინვენტარით.) თსუ-ის ბიბლიოთეკის გათბობაზე 41574 ლარი, სოციალურ და პოლიტიკური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ინვენტარზე 99 885 ლარი დაიხარჯა. მე-10 კორპუსში (მაღლივი) სარემონტო სამუშაოები მე-2, მე-5 და მე-7 სართულებზე – დაახლოებით 2 100 კვ.მეტრზე ჩატარდა.

2010 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა სულ 129 149 ლარი. აქედან: სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოებზე — 38949 ლარი, ბიოლოგების კორპუსის სარემონტო სამუშაოებზე — 90200 ლარი. სპორტული დარბაზისათვის შეძენილია 16 825 ლარის ინვენტარი. სარემონტო სამუშაოებს შპს. „მონოლითმშენი“, „21-ე საუკუნე“ და „არქსტუდია ბერისტილი“ აწარმოებდნენ.

ამბები

მე-8–9 გვ.

ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“

მე-2 გვერდზე

ყველაზე ორიგინალური სტუდენტები

მე-2 გვერდზე

მსოფლიოში აღიარებული პროგრამისტი თსუ-დან

მე-3 გვერდზე

ბრინჯაოს მედალოსანი ნორჩი ქიმიკოსები

მე-3 გვერდზე

ქართული საქმის სამსახურში

მე-4–5 გვ.

პირველი ქართველი ასტრობიოლოგები NASA-ში

მე-7 გვერდზე

ანდრია ბენაშვილის ხსოვნის საღამო

მე-11 გვერდზე



ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციული საჯარო კითხვა მოეწყო. ღონისძიება, რომელიც 5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და რომელზეც „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე წაიკითხეს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. მარათონში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ მსურველს. ღონისძიება გახსნეს თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ და ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, რუსთველოლოგმა მანანა სულაბერიძემ. გიორგი ხუბუას თქმით, „ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობაში უნდა გვახსოვდეს „ვეფხისტყაოსანი“, რადგან ჩვენ იმ ფასეულობების მემკვიდრე ვართ, რაც ნაწარმოებშია მოცემული. ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და ძლიერი ხასიათით, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წიაღში ვერ აღმოცენდებოდა შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოები.“ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა დაიწყო მანანა სულაბერიძემ, რომელმაც ზეპირად იცის მთელი პოემა და რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ასეთი სიყვარული მემკვიდრეობით გადმოეცა. მარათონში მონაწილეობდნენ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, დამსვენებლები, თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან ჩამოსული სტუმრები. წლევანდელი ღონისძიების დევიზი იყო: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა.“

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე ყოველწლიურად იმართება. ამ ტრადიციას საფუძველი მწერალმა დათო ტურაშვილმა და პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა შვიდი წლის წინ ჩაუყარეს. წინა წლებში „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა თბილისში, სენაკსა და თამარაშენში გაიმართა.

კუპლეტ-კუპლეტ ნასწავლი „ვეფხისტყაოსანი“

ნინო კაკულია

პროექტ „ნიჭიერს“ არ მიაკითხა, მაგრამ იცის რომ „ვეფხისტყაოსნის“ თავიდან ბოლომდე ზეპირად სწავლა ნიჭიერებასთან ზიარებაცაა. გაიცანით მანანა ნესუაშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 13 წლისამ თავიდან ბოლომდე ისწავლა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა, რადგან ახლობლებმაც ურჩიეს და გულმაც უკარნახა... მისი საყვარელი ფრაზა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, არასდროს გაიცვითება, რადგან სიკეთის კვალობაზე შემდგარი ბოროტების დასამარცხებლად კუპლეტ-კუპლეტ სწავლობდა შოთას და ესმოდა, რომ ღვთისგან ნაკარნახევი გზა მხოლოდ სწორ ბილიკზე გაგიყვანს.

„მიყვარს პოეზია და მაქვს ტექსტის ადვილად დამახსოვრების უნარი. მითხრეს, „ვეფხისტყაოსანს“ თუ ვისწავლიდი, მექნებოდა რაღაც პრივილეგიები. ძალიან ცუდი პერიოდი დაემთხვა ჩემს სტუდენტობას — 1989-1990-იან წლებში ვსწავლობდი, სოფელ ველისციხეში კი, სადაც გავიზარდე, არ მომეცა ჩემი შესაძლებლობების ფართოდ წარმოჩენის საშუალება. ძალიან დასანანია ჩემთვის, რომ ვერც შარშან და ვერც წელს ვერ მივიღე მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის ღონისძიებებში,“ — ამბობს სინანულით ქალბატონი მანანა ნესუაშვილი, რომელსაც დიდი სურვილი აქვს – კარგად გაიცნონ, როგორც ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნე. მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. 1993 წლიდან სწავლობდა თბილისის პედაგოგიური სიბრძნის აკადემიაში, ხოლო შემდეგ რობაქიძის უნივერსიტეტში. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისთვის ის ადგილია, რომელიც ანდამატივით იზიდავს ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი თავის რეალიზებისთვის. ამიტომ მოაკითხა მან დღესაც თსუ-ს და მოკრძალებულად ითხოვა – მომავალში მაინც ჩართონ ვეფხისტყაოსნის კითხვის პროცესში. სკოლაში პედაგოგად მუშაობისას თავის მოსწავლეებთან ერთად აწყობდა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის საღამოებს, ბავშვებს თემებს აძლევდა დასამუშავებლად და შოთას სიბრძნის საზიარებლად. დიდი სურვილი აქვს გაიცნოს ის ადამიანები, რომლებმაც ეს პოემა ზეპირად იციან – ასეთნი კი სულ რამდენიმე ეგულება.

„ვთვლი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სწავლა — ეს იყო ღვთის ნება, წყალობა და მადლი, რათა დღეს შემძლებოდა თქმა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის წამალი სულიერი ფერიცვალებისა, რასაც ჩვენი ქვეყნის ამაღლება და გაბრწყინება მოჰყვება. „ვეფხისტყაოსანი“ არის უფლის მიერ ბოძებული სასწაული, ჩვენი ერისთვის ღვთის რჩეულობის, მფარველობისა და კურთხეულობის ნიშანი. დარწმუნებული ვარ, ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი შანსი. დღესდღეობით ჩვენს საზოგადოებას, ისე, როგორც არასდროს, „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე სჭირდება. პირადად მე ამ პოემამ ძალიან ბევრი ტკივილი გადამატანინა. როდესაც რაღაც მქონდა გადასაწყვეტი, ბევრი პრობლემა ამომიხსნია „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნიდან გამომდინარე. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, თუ ზეპირად არ ისწავლიან, შეიყვარონ, ჩაუკვირდნენ, შეითვისონ ეს სიბრძნე! — ასეთი ადამიანი ცუდ გზაზე არასდროს ივლის და ცუდს არ გააკეთებს. „ვეფხისტყაოსანი“ არის გადებული ხიდი ადამიანსა და უფალს შორის“, — ასეთი დასკვნებით მიუყვება ცხოვრების გზას ქალბატონი მანანა ნესუაშვილი, რომელიც ესოდენ გახსნილია „ვეფხისტყაოსანში“ „ჩაკირული“ სიბრძნის სხვათათვის გაზიარებისთვის.

ყველაზე ორიგინალური სტუდენტები

ტელეკომპანია მზის ეთერში გასულ გადაცემაში „სტუდენტური დემოკრატია“ თსუ-ის სტუდენტთა ჯგუფმა თეონა ლავრელაშვილის ხელმძღვანელობით წარმატება მოიპოვა და პირველ ადგილზე გავიდა. გადაცემის წამყვანია ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი. გადაცემაში „სტუდენტური დემოკრატია“ მონაწილეობას იღებდნენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები წინასწარი შერჩევის გზით. უკვე ერთი წელია, რაც ეს გადაცემა ეთერში გადის და თავისი რეიტინგიც აქვს.

ნინო კაკულია

გადაცემის ფორმატი ასეთია: – გადაცემაში 4 უმაღლესი სასწავლებლიდან წარმოდგენილი გუნდები იღებენ მონაწილეობას. თითოეულ სასწავლებელს წარმოადგენს 10-კაციანი გუნდი, რომელსაც თავისი სპიკერი ჰყავს. სპიკერები სხდებიან გადაცემის წამყვანის გვერდით, გუნდების წევრები კი უკან. გადაცემაში მოწვეულია ექსპერტი, რომელსაც ეკონომიკის, პოლიტიკის თუ სხვა ნებისმიერი აქტუალური თემის გარშემო სტუდენტები კითხვებს უსვამენ. გადაცემის თემები სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ, ამდენად, მათ აქვთ შესაძლებლობა ერთიორი კვირით ადრე ჩამოაყალიბონ საინტერესო კითხვები და მოემზადონ დისკუსიისთვის.

გუნდის გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს გუნდის კაპიტანი გუნდური მუშაობის წახალისებას, რათა გუნდიდან ყველამ მიიღოს მონაწილეობა გადაცემის მსვლელობისას: დასვას საინტერესო კითხვა და ექსპერტთან დისკუსიის დაწყების შემთხვევაში მზად ჰქონდეს კომპეტენტური პასუხები მოცემულ თემებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით რომელი გუნდიც უკეთ წარმოაჩენს თავს და რომელიც მეტ ქულას დაიმსახურებს – ის არის გამარჯვებული.

სწორედ თავისი ორიგინალურობითა და შემოქმედებითი აქტიურობით მოიპოვა წარმატება თსუ-ის გუნდმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სდასუ-სა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდებთან შეჯიბრში. ჯგუფი შედგებოდა 10 წევრისგან თეონა ლავრელაშვილის მეთაურობით. მასში მონაწილეობდნენ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტები, რომლებიც გასაუბრების გზით შეირჩნენ.

„სულ ჩაიწერა 4 გადაცემა. თემატიკა იყო ძალიან საინტერესო და აქტუალური: – ეხებოდა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, მაგალითად, როგორიცაა – რელიგია და პოლიტიკა, დემოკრატიზაციის პროცესი, ომი და მშვიდობა, აღზრდის ისტორიულად გამართლებული მეთოდები და ასევე თემა: „ქალი და მეგობრობა“. ჩვენი გუნდი მხოლოდ კითხვებით როდი ეცადა თავის წარმოჩენას. დავდგით პატარა თეატრალური სცენაც, რომელიც წარმოდგენილ თემას ხსნიდა. ასევე, მე, როგორც სპიკერმა, ყველას მივეცი კითხვების დასმისა და დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა, რამაც გუნდის საბოლოო წარმატებაზე კარგად იმუშავა. ჩვენი გამოსვლებით კმაყოფილმა ჟიურიმ წამყვანის თაოსნობით პირველი ადგილი მოგვანიჭა“, – აღნიშნა თეონა ლავრელაშვილმა. მისი თქმით, როგორც გადაცემის წამყვანმა აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი სახელი კიდევ ერთხელ გაამყარა თსუ-ის სტუდენტების ასეთი წარმატების მიღწევით.

მსოფლიოში აღიარებული პროგრამისტი თსუ-დან

12 ივნისს დამთავრდა პროგრამირებაში გუგლის წლევანდელი პირადი პირველობის (Google Code Jam 2010) ნახევარფინალი, რომლის შედეგადაც უნდა შერჩეულიყო 25 ფინალისტი. ამ ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა მსოფლიოს 500-მა საუკეთესო პროგრამისტმა, მათ შორის იყო საქართველოს 5 წარმომადგენელი. ასპარეზობის შედეგად ფინალში გავიდა თსუ-ის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი.

ნინო კაკულია

აღსანიშნავია, რომ ნიკა უკვე ზედიზედ მეორედ გადის გუგლის პირადი პირველობის (ფაქტობრივად მსოფლიოს არაოფიციალური პირადი პირველობაა) ფინალში.

გასულ წელს კომპანია Google-ის მიერ ორგანიზებულ პრესტიჟულ შეჯიბრებაზე Google Code Jam ქართველმა პროგრამისტმა ნიკა ჯიმშელეიშვილმა მე-6 ადგილი დაიკავა. ეს არის ყველაზე დიდი წარმატება, რომლისთვისაც ოდესმე სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელს საერთაშორისო პროგრამისტულ ღონისძიებაში მიუღწევია. 20 ათასამდე დარეგისტრირებულ მონაწილეს შორის ქართველი პროგრამისტი ჯერ იმ 8289-ს შორის მოხვდა, რომელმაც პირველ ეტაპზე არანულოვანი შედეგი აჩვენა, ხოლო შემდეგ 25 ფინალისტს შორისაც გავიდა და საბოლოოდ მსოფლიოს ტოპ-ათეულში დაიკავა პოზიცია.

Google Code Jam, ანუ GCJ კომპანია Google-ს მიერ ორგანიზებული შეჯიბრებაა პროგრამისტებს შორის. იგი 2003 წლიდან ტარდება და შეჯიბრების მონაწილეებს შეზღუდულ დროში რამდენიმე ალგორითმული ამოცანის ამოხსნა მოეთხოვებათ. შეჯიბრება რამდენიმე ეტაპად ტარდება. შესარჩევი რაუნდები ინტერნეტით იმართება, გამარჯვებულებს კი იწვევენ დასწრებულ ფინალურ ეტაპზე, რომელიც Google-ის ოფისებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტარდება. შეჯიბრში მონაწილეობა უფასოა ყველასთვის და ფინალისტების მგზავრობას, სასტუმროს თუ სხვა ხარჯებს მთლიანად კომპანია იღებს საკუთარ თავზე.

„პირველად მონაწილეობა Google Code Jam Europe 2006-ში მივიღე, რომელიც მხოლოდ ევროპელ პროგრამისტებს შორის გაიმართა. ამის შემდეგ რამდენიმე თვეში Google Code Jam-2006 მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარდა. ორივე შეჯიბრებაში ბოლო შესარჩევ ინტერნეტ-რაუნდში მცირე შეცდომა დავუშვი, რის გამოც ფინალებს მიღმა აღმოვჩნდი. 2007 წლს GCJ არ ჩატარებულა, 2008 წლიდან კი იგი უკვე განსხვავებული ფორმატით იმართება. GCJ 2008-ზე წარმატებით დავძლიე შესარჩევი რაუნდები და კიდევ ერთ ქართველ მონაწილესთან – ელდარ ბოგდანოვთან ერთად Google-ის ციურიხის ოფისში, ევროპის რეგიონის ფინალში მონაწილეობის მისაღებად გავემგზავრე. ევროპიდან და სხვა კონტინენტებიდან მსოფლიოს ფინალში 100 მონაწილე გამოდიოდა, თუმცა ჩვენ ვეღარ მოვახერხეთ მათ რიცხვში მოხვედრა“, — აცხადებს ჩვენთან საუბარში ახალგაზრდა პროგრამისტი.

წელს ფინალური ასპარეზობა გაიმართება 30 ივლისს გუგლის დუბლინის ოფისში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ნიკა ჯიმშელეიშვილი, მას პირველ ხუთეულში მოხვედრის იმედი აქვს.

ნიკა ჯიმშელეიშვილმა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი კომპიუტერული მეცნიერების სპეციალობით შარშან დაამთავრა. როგორც თსუ-ის კურსდამთავრებული, ასპარეზობაში მის მონაწილეობას თსუ-ის ყველა გულშემატკივარი აქტიურად ადევნებს თვალს.

ბრინჯაოს მედალოსანი ნორჩი ქიმიკოსები

მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიმართ. უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს „საბავშვო უნივერსიტეტი“, რომლის ფარგლებშიც ცნობილი მეცნიერები და პროფესორ-მასწავლებლები მოსწავლეებს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებსა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სპეციფიკას აცნობენ.

მაია ტორაძე

ამავე მიზანს ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან უწყობდა ხელს ქიმიისადმი სკოლის მოსწავლეთა ინტერესების გაღვივებას. უნივერსიტეტის თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან დღესაც წარმატებით გრძელდება, რისი დასტურიცაა სულ ცოტა ხნის წინ მომხდარი სასიხარულო ფაქტი: დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის XI კლასის მოსწავლეებმა ანა გურეშიძემ და გვანცა გათენაძემ, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლასთან“, თურქეთში გამართულ გარემოს დაცვის პროექტების მე-18 საერთაშორისო ოლიმპიადაზე (INEPO – International Environmental Project Olimpiad), სადაც 44 ქვეყნის 124 წარმომადგენელი მონაწილეობდა, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

მათ მიერ ოლიმპიადაზე წარდგენილი თემის სათაური იყო „ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები და კონსერვერები ახალი კარბოფუნქციური ოლიგოსილოქსანებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ბაზაზე“. თემის დამუშავებაში და სათანადო ექსპერიმენტების ჩატარებაში მოსწავლეებს დახმარება გაუწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ ლეკიშვილმა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი, არაორგანული და მეტალოორგანული ქიმიის ქვემიმართულების ლაბორანტმა, ქიმიის დოქტორმა ხათუნა ბარბაქაძემ და დემირელის კოლეჯის ქიმიის მასწავლებელმა, უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა მუსტაფა ოზდეშმა.

საკონკურსოდ წარდგენილი თემა თანამედროვე ქიმიაში დიდ ყურადღებას იმსახურებს, რადგან, როგორც ბატონმა ნოდარ ლეკიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი მიგნებაა. მისი თქმით, დღეისთვის არსებობს 360-ზე მეტი მიკროორგანიზმი, რომელიც სხვადასხვა მასალას ანადგურებს და გარემოსა და ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს. ეს მიკროორგანიზმები, ასევე, გამანადგურებლად მოქმედებს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე და ნაკეთობებზე. „ჩვენ შევიმუშავეთ ისეთი მასალები, რომლებიც აგრესიული მიკროორგანიზმების გარემოში მდგრადები არიან. ისინი გამოიყენებიან დამცავი საფრების სახით და ნაკეთობის ზედაპირზე მიკროორგანიზმებს ანადგურებენ, ამასთან შემუშავებული ბიოაქტიური ნივთიერებები ადამიანებსაც იცავენ მავნე ზემოქმედებისაგან. უკანასკნელ წლებში ამ პრობლემამ რამდენიმე საერთაშორისო სიმპოზიუმზეც მიიქცია ყურადღება და დღეისთვის ამერიკელ მეცნიერებთან ერთად მზადდება დიდი ერთობლივი პროექტი. ჩვენ იქ გვყავს კოლაბორატორი – პროფესორი ვიტოლდ ბროსტოუ, რომელიც დაინტერესდა აღნიშნული საკითხით და უახლოეს მომავალში სერიოზულ მუშაობას დავიწყებთ მასთან ერთად“, — განაცხადა ნოდარ ლეკიშვილმა.

ანა გურეშიძემ და გვანცა გათენაძემ პროექტზე მუშაობისას, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით, ბიოაქტიურ კომპონენტად შეარჩიეს ადამანტან-1-კარბონმჟავას ჰიდრაზიდის, აცეტონის 1-ადამანტოილ ჰიდრაზონის და ზოგიერთი d-მეტალის მარილების ბაზაზე დასინთეზებული ახალი კოორდინაციული ნაერთები, შეისწავლეს მიღებული კომპლექსნაერთების ბაქტერიციდული და ფუნგიციდური აქტიურობა. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მიღებულ კომპლექს-ნაერთებს გააჩნიათ სელექტიური ბაქტერიციდული თვისებები და სხვადასხვა აქტიურობით თრგუნავენ საკვლევი კულტურების ზრდასა და განვითარებას.

მიღებული ნაერთების გამოყენებით შეიმუშავეს ახალი, ეფექტური ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები და კონსერვერები. აღნიშნული კომპოზიციები ხელმისაწვდომია, რადგან მათი მომზადება არ საჭიროებს რთულ ტექნიკურ აღჭურვილობას და თავისი ტექნოლოგიური და ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრებით მიზნობრივი დამცავი საფრების ანალოგიური ტიპის კომპოზიციებს შეესაბამება.

ნაშრომი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა ჯერ ბათუმში გამართულ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VI რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოიპოვეს მეორე ადგილი, შემდეგ კი სპეციალური მიწვევით მონაწილეობა მიიღეს თურქეთის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, სადაც მსოფლიოს 44 ქვეყანას შორის III ადგილი და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

„თბილისიდან წავიღეთ დიდი პოსტერი და ბუკლეტები, როგორც ეს ოლიმპიადის მოთხოვნაში ეწერა, ჩვენი ნაშრომი დაწვრილებით შეისწავლა მკაცრმა და კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელიც დაინტერესდა ექსპერიმენტში ჩვენი მონაწილეობით, პროექტის პრაქტიკული მნიშვნელობით და ვიზუალური მხარით, ჩვენი ცოდნით და საკითხის არსში წვდომით. ისინი გვისვამდნენ სხვადასხვა კითხვას, რაც ამ პროექტს და ნაშრომს შეეხებოდა. ისეთი სიმკაცრე იყო, რომ, როდესაც გამარჯვებულები გამოაცხადეს, ვერ დავიჯერეთ... მერე კი უდიდესი სიხარული განვიცადეთ. ქიმიისადმი სიყვარული უნივერსიტეტმა გვასწავლა. მომავალი პროფესიის არჩევაზე ჯერ ვფიქრობთ, მაგრამ აქ მიღებულ ცოდნას არ დავკარგავთ“, — გვითხრეს გოგონებმა და განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს უშუალო ხელმძღვანელი ხათუნა ბარბაქაძე, რომელმაც დიდი ენერგია ჩადო ამ გამარჯვებაში, ბატონი ნოდარ ლეკიშვილი, რომელმაც გარდა იმისა, რომ მათ აქტუალური და საინტერესო თემა შეურჩიათ, ფსიქოლოგიური დახმარებაც გაუწიათ ოლიმპიადაზე წასვლის წინ და მათი ქიმიის მასწავლებელი, მუსტაფა ოზდეში, რომელიც გოგონებს თურქეთში თან ახლდა.

მიღწეული წარმატებით კმაყოფილი ჩანდა ბატონი ნოდარ ლეკიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ სკოლებთან ამგვარი თანამშრომლობა სასიკეთოდ წაადგება ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდების უნივერსიტეტში მოზიდვის საქმეს.

„ნორჩ ქიმიკოსთა სკოლაში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. მათ შორისაა დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, რომელზეც შეფობა ავიღეთ. ჩვენ მათთან ვთანამშრომლობთ და ვაწარმოებთ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოებს. მოსწავლეები ჩართული არიან კვლევით საქმიანობაში, რის საფუძველზეც ამზადებენ მოხსენებებს. ამ ჯგუფს ქალბატონი ხათუნა ბარბაქაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ მან მოახერხა მოსწალეებისთვის სასიამოვნო სამუშაო გარემო შეექმნა და ქიმია შეეყვარებინა. მათ შეითვისეს კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ ინტერესი გაუჩნდათ. ეს ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებაცაა და ერთგვარი რეკლამაც, რადგან ამგვარი თანამშრომლობის შედეგად მაღალი დონის მოსწავლეები მზადდებიან“, — განაცხადა პროფესორმა ნოდარ ლეკიშვილმა.

ანას და გვანცას მომავალი წინ აქვთ. ქიმიაში მიღწეული წარმატება კი ვფიქრობთ, გარკვეულწილად, მათ პროფესიულ არჩევანსაც განაპირობებს.

ქართული საქმის სამსახურში

„სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი კი აღარაო“, - წერდა ილია და მიგვანიშნებდა, რომ წარსულიდან მხოლოდ ის დღე ითვლება სიცოცხლის დღედ, როცა კაცი რაიმე ღირებულს მატებს საკუთარ ხალხსა და ქვეყანას. ეს ბედნიერება კი სხვათაგან მხოლოდ ნიჭითა და გონიერებით, შრომითა და აზროვნებით გამორჩეულ ადამიანებს ერგებათ ხოლმე...

ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე სწორედ ამ ნიშნით გამორჩეულთა შორისაა. მისმა თავდაუზოგავმა შრომამ, ქვეყნის სიყვარულმა და მეცნიერებისადმი ერთგულებამ ბევრ ქართულ საქმეს მოჰფინა მადლი, ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა, ბევრი მტვერწაყრილი ფოლიანტი გამოამზეურა და სხვადასხვა საცავში მიმალული ეროვნული სიმდიდრე თანამედროვე მკვლევარებისთვის ხელშესახები გახადა. ის დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტია და სამართლიანად მიიჩნევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საამაყო სახედ.

მაია ტორაძე

პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მეცნიერული ინტერესების სფეროა რუსთველოლოგია, ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები. იგი ხელმძღვანელობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს და მის მიერვე დაარსებულ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრს. არის უამრავი ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის გამორჩეულია საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემული ნაშრომები: „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები“ (თბილისი, 1968); „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“ (თბილისი, 1975); „ვარლაამ და იოასაფის“ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა მიმართებისათვის“ (პარიზი, 1976 - ინგლისურ ენაზე); „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი“ (თბილისი, ამსტერდამი – 1982, 1991, 1996 – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე); „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“ (თბილისი, 1993); „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“ (ამსტერდამი 2001, თბილისი 2003 – ინგლისურ და ქართულ ენებზე); „XI საუკუნის ორი უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტები ბერძნულ კოდექსში“ (რომი, 1998 - ინგლისურად) „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ეპოქის ინგლისში“ (თბილისი, 2008 - ქართულ და ინგლისურ ენებზე); „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ (თბილისი, 2009).

დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავს, რომ დიდი მეცნიერისთვის არაფერს ნიშნავს ხმაურიანი დიდება, თუ ის ჭეშმარიტ აღმოჩენას არ უკავშირდება. ელგუჯა ხინთიბიძესთან საუბარში ხვდები, რომ მას ჩვენთვის გამოყოფილი დრო საკუთარ წიგნებსა და მიგნებებზე ფიქრისთვის ერჩივნა დაეთმო, თუმცა დიდსულოვნად დაგვთანხმდა და საკუთარ თავზე მეტად იმ ადამიანებზე გვესაუბრა, რომლებიც მის გვერდით, მის მხარდამხარ შეჭიდებიან ქართულ საქმეს...

პირველი კითხვა ბავშვობას ეხება... და ხედავ, როგორ იცვლება შენს თვალწინ მკაცრი, მუდამ საქმიანი და სერიოზული მეცნიერის სახე და როგორ ისადგურებს მასში ბავშვობის მოგონებებით გამოწვეული სიამოვნება: „გურიაში დავიბადე და გავიზარდე. ვსწავლობდი ოზურგეთის სკოლაში, სადაც თავის დროზე ნიკო მარს უსწავლია... ნიჭიერი და

საინტერესო ამხანაგები მყავდნენ... მარტო ჩემი კლასიდან ოთხმა დავამთავრეთ სკოლა ოქროს მედალზე და ეს მაშინ ადვილი საქმე არ იყო. გატაცებულნი გახლდით პოეზიით... მე შევაყვარე მთელ კლასს გალაკტიონი... სხვა მხრივაც ვაქტიურებდით და სხვადასხვა საგნებში რესპუბლიკურ ოლიმპიადებზეც ვმონაწილეობდით. მაგალითად, ერთ-ერთ ოლიმპიადაზე მე გავიმარჯვე და მაშინდელი ნაჩუქარი წიგნები ახლაც შენახული მაქვს... ვუსმენდით ჯაზს, კლასიკურ მუსიკას... მოკლედ, საინტერესო ცხოვრება გვქონდა. ჩემი კლასელები იყვნენ ცნობილი ქართველი მხატვარი მამია მალაზონია, დღეისათვის ცნობილი პიროვნებები: ჯუმბერ ჩოლობარგია და ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. სხვათაშორის, სტუდენტობასა და ცხოვრების გზაზე შეძენილ მეგობრებთან ერთად, ჩემი საუკეთესო მეგობრები დღესაც თანაკლასელები არიან...“ — გვიამბობს იგი და ამ თითქოსდა ჩვეულებრივი სიტყვებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანი მხოლოდ მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებით არ ფასდება და თუ მას ბავშვობის მეგობრები მთელი ცხოვრება შემოჰყვა, ესე იგი, სწორად ცხოვრობს, ესე იგი, უამრავი საუკეთესო ადამიანური თვისებითაა შემკული.

ბატონ ელგუჯას გურულ სიფიცხესა და სიტყვაძუნწობასაც სწამებენ, მაგრამ მისი სპორტით გატაცების ამბავს რომ მოუსმენთ, ყველა ბრალდებას უკან წაიღებთ და აღიარებთ, რომ გურულებს იუმორის გრძნობა მართლა გენებში აქვთ... „ჩვენ არ გვქონდა მარტო სწავლაში წარმატებული სკოლა და კლასი. სპორტშიც ვაქტიურობდით. მე, მაგალითად, რადგანაც ტანმორჩილი ვიყავი, გადავწყვიტე გავიზრდები-მეთქი და კალათბურთს ვთამაშობდი, მაგრამ, მგონი, იმ წლების მერე აღარც გავზრდილვარ...“ — თავადაც იცინა და ჩვენც ღიმილი მოგვგვარა მისმა „აღიარებამ“...

ბავშვობა დიდხანს შემოგვყვა საუბარში. მერე კი თავისთავად მოვიდა უნივერსიტეტზე და მეცნიერებაზე საუბრის დროც:

— ბატონო ელგუჯა, როგორც აღნიშნეთ, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი წარმატებით შეგეძლოთ გამოსულიყავით მათემატიკოსიც და ექიმიც. თქვენ ქართული ფილოლოგია აირჩიეთ. რით იყო გამოწვეული ეს ინტერესი?

— დიახ, სკოლაში წარმატებული მოსწავლე ვიყავი არა მხოლოდ ქართულში, არამედ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც. ერთი ნიშანდობლივი რამ მახსენდება: ჩემი მათემატიკის მასწავლებელი, იმის გამო, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, კარგა ხანს არ მელაპარაკებოდა და მხოლოდ მაშინ გამცა ხმა, როცა ძალიან ახალგაზრდა გავხდი მეცნიერებათა დოქტორი.

არც უტრადიციობა იყო: ჩემი ბიძა – ანტონ ხინთიბიძე გახლდათ მეცნიერი, ფოლკლორისტი. ასევე დიდი გავლენა მოახდინა ჩემს არჩევანზე ჩემმა ძმამ, ცნობილმა მეცნიერმა აკაკი ხინთიბიძემ, რომელიც ჩემზე 14 წლით უფროსი იყო.

ფაქტია, რომ ოჯახის ინტერესებმა და ფილოლოგიისაკენ სწრაფვამ გადაწონა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. აი, აქ დაიწყო ჩემი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი — ცოდნასთან ერთად შევიძინე საუკეთესო მეგობრები. ჩემი კურსელი და საუკეთესო მეგობარი გახლდათ პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე, სამწუხაროდ, იგი ადრე გარდაიცვალა.... ასევე ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: დავით წერედიანი, ბაჩანა ბრეგვაძე, ჯემალ ქარჩხაძე და სხვები. ასე რომ, სტუდენტობა ძალიან საინტერესო ადამიანების გვერდით გავატარე.

აქტიური ცხოვრება მქონდა. თავიდანვე ჩავები სამეცნიერო წრეებში და როცა პირველი შრომა დიდმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ წაიკითხა, თამამად დავიწყე სერიოზული მუშაობა. ვიყავი ფაკულტეტის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, სადაც საინტერესო სამეცნიერო წრე შეიკრა – ჩვენ ერთად ვატარებდით რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებს.

— თქვენი თაობა განებივრებული იყო იმით, რომ ლექციებზე დიდი მეცნიერების მოსმენის საშუალება ჰქონდა. ვის გამოარჩევდით თქვენი მასწავლებლებიდან?

— უნდა აღვნიშნო ბატონი კორნელი კეკელიძე, რომელიც ღრმად მოხუცებული იყო და ლექცია არ წაუკითხავს, მაგრამ ჩემი სადიპლომო თემის ხელმძღვანელი გახლდათ და ხშირი კონტაქტი მქონდა მასთან.

დიდი ინტერესით ვესწრებოდი პროფესორ გრიგოლ კიკნაძის სემინარებს, ბატონ ჯუმბერ ჭუმბურიძის ლექციებს. კარგად მახსენდება პროფესორი ტრიფონ რუხაძე, რომელსაც ძველი ქართულის მიმართ საოცარი გატაცება და გადამდები შემართება ჰქონდა და ჩვენც ბევრი რამ შეგვასწავლა. ფასდაუდებელი ცოდნა შეგვძინა ანტიკურ ფილოლოგიაში ბატონმა პანტელეიმონ ბერაძემ.... სხვაც ბევრი იყო.... მე კმაყოფილი ვარ, რომ სწორედ ამ ადამიანების გვერდით მომიხდა სწავლა და მუშაობა.

— ბატონო ელგუჯა, როგორ ფიქრობთ, მეცნიერება დღეს უფრო ნაყოფიერია თუ ადრე მეტი აღმოჩენა და მიგნება იბეჭდებოდა?

— გააჩნია რა მიმართულებით ვისაუბრებთ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საზღვრები გაიხსნა, ბევრი რამ ახალი აღმოჩნდა. მაგალითად, ძველ ქართულ ლიტერატურაში პირადად მე და ჩემმა გუნდმა ევროპულ სამყაროსთან მიმართებაში ბევრ სიახლეს მივაკვლიეთ, რადგან საზღვარგარეთის ცენტრებში კვლევების გადატანის საშუალება მოგვეცა. ჩემი კვლევები იმიტომაც შეიცავს სიახლეებს, რომ მათში სწორედ ევროპული კვლევებია გაერთიანებული. მაგალითად, 1999 წელს მივაგენი, რომ ლათინურ ენაზე უკვე XIII საუკუნეში არის თარგმნილი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების „გიორგი ათონელის ცხოვრების“ რამდენიმე თავი. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, დავაკონკრეტებ, რომ ჩემი სტუდენტობის დროს ვსწავლობდით კორნელი კეკელიძის ნაშრომების მიხედვით, რომელშიც მითითებული იყო, რომ საქართველოს ძველად ლათინელებთან კულტურული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მაშინ არ ჩანდა. ჩემმა მიგნებამ მოგვცა ამის ფაქტობრივი დადასტურების საშუალება.

რამდენიმე წლის წინ ათონის მთაზე ყოფნამ მომცა საშუალება, იქ არსებულ ხელნაწერებში მიმეკვლია სრულიად ახალი ქართული კოლექციისთვის, რომელიც მანამდე არც ერთ აღწერილობაში არ იყო შეტანილი. ეს ბერძნულ კოლექციებში შესული ხელნაწერები ადგილობრივებმა მაჩვენეს და მათი რაობის გარკვევაში დახმარება მთხოვეს. მე შევისწავლე ისინი და აღმოჩნდა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი ქართული კოლექცია.

ასევე შემთხვევით აღმოვაჩინე ბრიტანეთის მუზეუმში XI საუკუნის ორი დაკარგული ქართული ხელნაწერის ფრაგმენტი. ერთხელ ლონდონში მოხსენების წაკითხვის შემდეგ, ბრიტანეთის მუზეუმის ბერძნულ ხელნაწერთა მცველმა მთხოვა, გადამეხედა ერთ



ბერძნულ ხელნაწერში მოთავსებული მათთვის გაუგებარი ხელით დაწერილი ფურცლებისთვის. იქ აღმოჩნდა რამდენიმე ქართული ხელნაწერი ფურცელი, რომლებიც შევისწავლე და დავადგინე, რომ ერთი ფურცელი იყო გიორგი ათონელის ავტოგრაფი.

უკანასკნელი ორი წელია ძალიან გახმაურდა ჩემი ახალი აღმოჩენა, რომელიც უკვე დაბეჭდილია წიგნად. ეს გახლავთ მიგნება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ XVII საუკუნის დასაწყისში გამოყენებულია შექსპირის თეატრში, მისივე სიცოცხლეში.

ამგვარი სიახლეების მიგნების და გამომზეურების საშუალება ევროპულ ცენტრებში მუშაობამ, ქართული სამყაროს საერთაშორისო დონეზე გატანამ და საერთაშორისო დონეზე კონტაქტების დამყარებამ მოგვცა.

მეორე მხრივ, ახალ სფეროებზე აქცენტების გადატანამ, ტრადიციული მეცნიერული მიმართულებით მუშაობის შეფერხება გამ-

მე-5 გვერდზე

ქართული საქმის სამსახურში

მე-4 გვერდიდან

ოიწვია — დღეს ხდება ამ სიახლეების ათვისება და ახალი კვლევების ამ მიმართულებით წარმართვა.

— ცხადია, როცა ამგვარ სიღრმეებს წვდებით, სტუდენტისადმი მომთხოვნელობაც მეტი გექნებათ. მკაცრი ლექტორი ხართ?

— ჩემი აზრით, არ ვარ მკაცრი. მაგრამ პრინციპული და შეუვალი ვარ, როცა საქმე მეცნიერებას ეხება. მაგალითად, ახლაც მიდევს მაგიდაზე ერთი დისერტაცია, რომელსაც მსვლელობას არ ვაძლევ, რადგან მიმაჩნია, რომ ავტორმა მეტი უნდა იმუშაოს.

ჩვენს საქმეს სისტემატური და შეუნელებელი მუშაობა უყვარს. როცა სტუდენტს ნიჭიერებას ვატყობ, თანახმა ვარ, რომ ყველა შემთხვევაში ვუხელმძღვანელო, მაგრამ თუ მას ასეთი მუშაობა უჭირს, ჩემთან ვერ ჩერდება და მიდის, რადგან ხვდება, რომ აქ მისი ადგილი არაა.

ახლა ჩვენ ვიმყოფებით ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში, რომელიც 1992 წელს დავაარსე. აქ პატარა ოჯახია და საქმეში ღალატი წარმოუდგენელია. მაგალითისთვის, თუ რა ტიტანურ შრომას ეწევა ეს პატარა ცენტრი, გეტყვით, რომ 1993 წლიდან აქ იბეჭდება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ქართულად და ინგლისურად. მის თარგმნაში გვეხმარება ინგლისური ენის ჩინებულად მცოდნე ბატონი არიანე ჭანტურია. ამ ჟურნალის ბევრი ნომერი ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ინახება და თავად არიან დაინტერესებულნი, ყველა ნომერი ჰქონდეთ. დღეისათვის ვცდილობთ ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია გავაკეთოთ, რომ ქართული კულტურით და მეცნიერებით დაინტერესებული ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი იყოს.

ასევე, აქ მზადდება და იბეჭდება ჩემი წიგნებიც. ეს პატარა კოლექტივი თავდაუზოგავად შრომობს. აქ ზარმაცი ადამიანის ადგილი არ არის.

— ბატონო ელგუჯა, თქვენზე ამბობენ, რომ გურული სიფიცხე მხოლოდ კეთილი ბუნების დასამალად გჭირდებათ...

— ვცდილობ მეტი სიკეთე ვაკეთო, თუმცა ეკონომიური საშუალება ამისთვის ნაკლებად გვაქვს. მე ჯერ კიდევ 1966 წელს დავაარსე ჰუმანიტრული სკოლა, რომლის შესახებ ინფორმაცია მაშინდელმა საკავშირო რადიომაც კი გადმოსცა. მაშინ სკოლიდან მომყავდა მოსწავლეები და აქ უნივერსიტეტში სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლიდით ზოგს ბერძნულს, ზოგს ლათუნურს და ვესაუბრებოდით ქართველოლოგიურ პრობლემატიკაზე. მართალია, ამ სკოლამ დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ იმ თაობიდან მძლავრი ნაკადი წამოვიდა უნივერსიტეტსა და ქართულ ფილოლოგიაში... მერე შევქმენი ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, რომელშიც უნიკალური პროექტები განხორციელდა. ამ ცენტრმა ახალგაზრდების, ჩემი სტუდენტების დასაქმების საშუალება მომცა.

1994-96 წლებში მე მქონდა ნატოს ორგანიზაციის საერთაშორისო გრანტი, რომლის ფარგლებშიც დავიწყეთ ქართული ლიტერატურის შესწავლა ევროპაში. თანხა ცოტა იყო, მაგრამ იმ გაჭირვების წლებში მქონდა საშუალება, თანამშრომლებისთვის ცოტაოდენი სისტემატური დახმარება გამეწია. სწორედ ამ გრანტის შედეგად გამოვიდა ამსტერდამში წიგნი „ქართული ლიტერატურის შესწავლა ევროპაში“, რომელიც ამ ცენტრში მომზადდა და ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ მისი რეზიუმე ახლაც დევს ნატოს ვებგვერდზე.



შემდეგ დავაარსე ქართველოლოგიური კვლევის ფონდი, რომელიც ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო ქართველოლოგიურ სკოლას. ზაფხულობით აქ ჩამოდიან უცხოელები, ქართულს სწავლობენ, და საზღვარგარეთელ ქართველოლოგებად ყალიბდებიან.

— თქვენი სტუდენტებიდან ვის გამოარჩევდით?

— საუბედუროდ, ჩვენს მოღვაწეობას ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური პერიოდი დაემთხვა, რომ ამ რთულ პროცესებში ბევრი ნიჭიერი სტუდენტი ჩაიკარგა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია რამდენიმე ჩემი სტუდენტის, ასპირანტისა და ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლის წარმატება.

მინდა გამოვყო გაგა შურღაია, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც წარმატებით მუშაობს და მოღვაწეობს იტალიაში. მას დიდი წვლილი შეაქვს ქართულ-იტალიურ კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობებში.

რამდენიმე ხნის წინ გავგზავნე ჩემი ასპირანტი და თანამშრომელი თამარ პატარაიძე ბელგიაში. ის ბელგიაში ლიუვენის თეოლოგიური უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკია და სირიულ-ქართულ ურთიერთობებზე წარმატებით მუშაობს.

ჩემი სტუდენტი, ასპირანტი და ჩემს ხელში დაფრთიანებული გახლავთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე. ასევე ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მაკა ელბაქიძე. უთუოდ უნდა დავასახელო დღეს უკვე ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერი ქეთევან ბეზარაშვილი.

ქართველ სტუდენტთაგან კიდევ ბევრი შეიძლება დავასახელო, მაგრამ ამჯერად მინდა გამოვყო ქართველოლოგიური სკოლის სტუდენტი, იაპონელი იასუჰირო კოჯიმა, რომელიც ორჯერ გვეწვია და მისივე სპეციალური მოთხოვნით 2 წელი იმუშავა ჩემი ხელმძღვანელობით. მან არა მარტო ქართული, არამედ ქართველური ენები – მეგრული და ლაზურიც შეისწავლა, ხოლო კავკასიური ენებიდან – ჩეჩნურს დაეუფლა. იასუჰირომ გაიარა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის რამდენიმე ციკლი, თარგმნა და გამოაქვეყნა ქართული ნაწარმოებები, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის თხზულებები. იგი ჩვენი საერთაშორისო კონფერენციების სისტემატური მონაწილეა.

საერთაშორისო ქართველოლოგიურ სკოლაზე ბატონი ელგუჯა განსაკუთრებული გატაცებით საუბრობს. მის მიერ გაწეულ შრომაზე კი თავად ამ სკოლის მოსწავლეები კმაყოფილებით წერენ.

რასელ ტრავენენ ჯონსი დიდი ბრიტანეთიდან აღნიშნავს: „საზაფხულო სკოლაში ყოფნა არაჩვეულებრივი გამოცდილებაა ჩემთვის: ყოველი დღე დატვირთულია, სწავლება სწრაფად მიიწევს წინ, არასოდეს ვართ უქმად... სტუდენტები, რომლებიც ამ კურსს გაივლიან, ფლობენ პრაქტიკულ ინფორმაციას ქართული ენის სტრუქტურის შესახებ. ამ ცოდნის განმტკიცებას ისინი დამოუკიდებლად მუშაობის შედეგად შეძლებენ. ამიერიდან ქართულ ენასთან მუდმივი შეხება მექნება...“

იაპონელი იასუნო ტაკემურა სწავლების მეთოდით არის აღფრთოვანებული: „თავდაპირველად მეგონა, რომ ქართულ ენას ინდივიდუალურად გვასწავლიდნენ, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლაში პატარა სასწავლო ჯგუფები იქმნება, რომელთაც ენის ლექციები ერთად ეკითხებათ. ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო ჯგუფში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებსა და განსხვავებული პროფესიის მქონე სტუდენტებთან ერთად სწავლა... ძალიან მიხარია, რომ ამ საინტერესო ქვეყანაში კიდევ ორი წელი უნდა გავატარო“...

ეს შთაბეჭდილებები, რომლებშიც უცხოელი სტუდენტები ქართული ლიტერატურით, საქართველოს ისტორიით და ქართველოლოგიური სკოლის მიერ მოწყობილი შემეცნებითი ღონისძიებებით აღფრთოვანებას ვერ მალავენ, მთლიანად ბატონი ელგუჯას დამსახურებაა. მას მხარში უდგანან ცენტრის თანამშრომლები და, როგორც საუბარში გაირკვა, საკუთარი ოჯახის წევრებიც. არც გამკვირვებია ოჯახის ამ კონტექსტში ხსენება – ერთი ადამიანი ასეთ სიმაღლეებს მარტო ვერ სწვდება და სადაც ოჯახი მისი წევრებზე თავგამოდებით ზრუნავს, წარმატებაც არ დააყოვნებს ხოლმე.

ბატონი ელგუჯა სამართლიანად ამაყობს მეუღლით და შვილებით. უფროსი ვაჟი – ზაზა ხინთიბიძე ცნობილი მეცნიერია და კლასიკურ ბერძნულთან ერთად რუსთველოლოგიითაცაა დაინტერესებული, უმცროსი – ირაკლი კი ცნობილი კარდიოლოგია და მამა მას განსაკუთრებით ემადლიერება იმ გულისხმიერებისთვის, რასაც მისი კოლეგების და ახლა უკვე საზაფხულო სკოლის სტუდენტების მიმართაც იჩენს. „საზაფხულო სკოლა რომ იწყება, აქ პატარა ოჯახი იქმნება: ვსწავლობთ და ვშრომობთ თავდაუზოგავად, თავისუფალ დროს კი ექსკურსიები და ქართული სუფრებიც მოჰყვება ხოლმე,“ - გვიამბობს ბატონი ელგუჯა და იღიმება, აქ ნამდვილი ოჯახებიც შეგვიქმნია და უცხოელი სიძეებიც გვყავსო.

ერთ საგაზეთო წერილში ყველაფრის თქმა წარმოუდგენელია, თუმცა ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს – როცა დიდი ადამიანები დიდ საქმეს მშობლიური მიწისადმი სიყვარულსაც უთავსებენ, ეს უკვე მდიდარი შინაგანი სამყაროს მანიშნებელია. ჩემი ბოლო კითხვაც ერთგვარი „დაზვერვა“ იყო და საოცარი სიამოვნება ვიგრძენი, როცა პასუხად მივიღე, რომ ელგუჯა ხინთიბიძე – მეცნიერი, რომლისთვისაც მისი სიზვიადის გამო სალმის თქმაც კი გერიდება, ისეთივე რუდუნებით ეკიდება სოფელს და მიწას, როგორც ახალ მეცნიერულ აღმოჩენებს...

მისი სრული პორტრეტის დახატვას კიდევ ბევრი ასეთი წერილის დაწერა დასჭირდება... აქამდე განვლილი ცხოვრება კი ნამდვილად აძლევს უფლებას, იამაყოს — მის სიცოცხლეში არც ერთ დღეს ფუჭად არ ჩაუვლია!..

კიდევ ერთი ბრწყინვალების ორდენი თსუ-ს

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ბრწყინვალების ორდენით თსუ-ის კიდევ ერთი პროფესორი, რისმაგ გორდეზიანი დაჯილდოვდა. ჯილდო რისმაგ გორდეზიანს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გადასცა, რომელიც ამ მისიის შესასრულებლად საგანგებოდ მოვიდა უკვე ტრადიციად ქცეულ თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე. მინისტრმა აღნიშნა, რომ ბატონ რისმაგს ეს ჯილდო კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს და რომ მას ჯერ პენსიაზე გასვლის ფიქრის უფლება არ აქვს, რადგან ჯერ კიდევ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებაში.

ინსტიტუტის დღე ყოველწლიურად იმართება და ის წელს პროფესორ გორდეზიანის 70 წლის იუბილეს დაემთხვა, რამაც ღონისძიებას განსაკუთრებული ელფერი შესძინა. ყველასათვის მოულოდნელი პრეზიდენტის ჯილდოს გარდა უხვად იყო სხვა სიურპრიზებიც. რისმაგ გორდეზიანს იუბილე მიულოცა და ფულადი პრემია გადასცა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ. რისმაგ გორდეზიანმა მილოცვები მიიღო მეცნიერებათა აკადემიისგან, სოხუმისა და ბათუმის უნივერსიტეტებისაგან, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოებისაგან, რუსთაველის ფონდისაგან, უცხოელი კოლეგებისაგან, სხვა პროფესორებისა და მოწაფეებისაგან.

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის დღეზე საზოგადოებას ყოველწლიურად აცნობენ ინსტიტუტის მიერ მთელი წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობას. წელს ინსტიტუტმა 20-მდე ახალი გამოცემა და თანამშრომელთა აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების შთამბეჭდავი ჩამონათვალი წარმოადგინა. გამოცემებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რუსთაველის ფონდის დაფინანსებით გამოცემული ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“.

ღონისძიებაზე ტრადიციული ჯილდოები გადაეცათ ინსტიტუტის წარჩინებულ სტუდენტებს. საბერძნეთში მოგზაურობით დაჯილდოვდნენ სკოლის ის მოწაფეებიც, რომლებმაც წელს თავი გამოიჩინეს ძველი ბერძნული ენის შესწავლისას.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ანგარიში

28 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს წარუდგინა ანგარიში ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესებისა და ჩატარებული სამუშაოების შესახებ. მან ასევე განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი პროექტების შესახებაც ისაუბრა.

იურიდიული ფაკულტეტის მიერ ორი წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს გაეცნენ ევროსაბჭოს, ევროკავშირის და პარტნიორი უცხოური დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და კონსტიტუციის 42-ე მუხლის წევრები, თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები.

ანგარიში შეეხებოდა სასწავლო პროცესისა და სასწავლო პროგრამების სფეროში დანერგილ სიახლეებს, ფინანსურ და ადმინისტრაციულ რეფორმებს, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას.

თამარ მარუაშვილი

„ამ ბოლო პერიოდში იურიდიულ ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სასწავლო პროგრამების, თეორიული და პრაქტიკული სწავლების შერწყმის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ჩვენ უნდა ვიყოთ ინტეგრირებული დასავლეთის განათლების სისტემასთან. ჩვენი აზროვნების სტილი და კულტურა უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული... აუცილებელია საზოგადოებასთან მუდმივი კონტაქტი, რათა იგი ინფორმირებული იყოს უნივერსიტეტში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების შესახებ. აზრთა გაზიარება დაგვეხმარება კიდევ უფრო წარმატებულად განვახორციელოთ ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტს ყველაზე პრესტიჟულსა და წარმატებულს გახდის კავკასიის რეგიონში. ჩვენ გვინდა უფრო მაღალრეიტინგული იურიდიული ფაკულტეტი, უფრო ეფექტური იურიდიული განათლება, რისთვისაც აქტიურად უნდა გავაგრძელოთ ფაკულტეტზე ქართველი და უცხოელი გამოჩენილი პროფესორების მოწვევა. იურიდიულ ფაკულტეტს მართლაც გამორჩეული სტუდენტობა ჰყავს, რომელიც ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებს!“ — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

2005 წლიდან იურიდიულ ფაკულტეტზე რეფორმები დაიწყო. კერძოდ, საქართველოს სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ ფაკულტეტი სამსაფეხურიან სწავლებაზე გადავიდა.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა დაწვრილებით ისაუბრა, 2008 წლიდან მოყოლებული 2010 წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით, ფაკულტეტზე მიმდინარე რეფორმების შედეგებსა და პერსპექტივებზე, აგრეთვე სამომავლო გეგმებსა და პროექტებზე.

„იურიდიული განათლების განვითარება საქართველოში დიდად არის დამოკიდებული თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე, რამდენადაც, ტრადიციულად, ეს ფაკულტეტი იყო გარანტი მაღალი დონის იურიდიული განათლებისა საქართველოში. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ძველი ფაკულტეტია, რომელიც ცდილობს გააგრძელოს ის ტრადიცია, რომელიც ჩვენი დიდი იურისტებისა და მეცნიერების ძალისხმევით დამკვიდრდა და ჩამოყალიბდა.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭომ გასულ სემესტრში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება — საერთაშორისო სამართალი.

იურიდიული პროფესიის დაუფლებისა და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობის მიზნით, გასულ სემესტრში ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში რეპეტიტორიუმის დანერგვის შესახებ. საქართველო გამოირჩევა სწრაფად განვითარებადი საკანონმდებლო ბაზით, შესაბამისად, რეპეტიტორიუმი სტუდენტს საშუალებას მისცემს, მასალის გამეორებასთან ერთად, გაეცნოს იმ სიახლეებს, რაც საკანონმდებლო სივრცეში განხორციელდა. რეპეტიტორიუმის დანიშნულებაა, აგრეთვე, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი მაგისტრატურაში მისაღები გამოცდებისათვის მოამზადოს. რეპეტიტორიუმს ეთმობა საბაკალავრო პროგრამის მერვე სემესტრი.

„მაგისტრატურასთან დაკავშირებითაც გვაქვს სიახლეები: მოგეხსენებათ, რომ სამაგისტრო პროგრამა უნდა იყოს აგებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების რაციონალურ სინთეზზე. პირველ სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს მხოლოდ თეორიულ კურსს, მეორე სემესტრში ირჩევს იურიდიულ კლინიკებს, მესამე სემესტრი მთლიანად ეთმობა სასწავლო-სამეცნიერო, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ხოლო მეოთხე სემესტრში ხდება სამაგისტრო ნაშრომის მომზადება.

სასწავლო პროგრამების ფარგლებში თანამედროვე სწავლების ახალი მეთოდები დაინერგა. ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად პრაქტიკაზე და დასაქმებაზე ორიენტირებული სწავლება ითვლება. ამის გათვალისწინებით, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა იურიდიული კლინიკების, სტუდენტისთვის იურისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული პროგრამის, მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზებაზე. შედეგი სახეზეა: იურიდიული კლინიკების რიცხვი ოთხიდან ათამდე გაიზარდა. დღეს უკვე ვინარჩუნებთ იურიდიულ კლინიკებში სტუდენტთა რაციონალური განაწილების სისტემას, რომლის მიხედვითაც, თითოეულ იურიდიულ კლინიკაში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 8-10 სტუდენტს არ აღემატება,“ — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

მან ასევე ისაუბრა საგამოცდო ცენტრის შექმნის დადებით მხარეებზე, რამაც აკადემიურ პერსონალს საშუალება მისცა ორიენტაცია სამეცნიერო კვლევებსა და სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვისაკენ აეღო. დღეს იურიდიულ ფაკულტეტზე ყველა გამოცდა საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით ტარდება.

გასული წლის მანძილზე ფაკულტეტზე დიდი ყურადღება დაეთმო სასერტიფიკატო პროგრამებს და საზაფხულო სკოლებს. 2009 წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტმა აირჩია სამართლის ორი ყველაზე აქტუალური სფერო: მედია და სატელეკომუნიკაციო სამართალი და საკორპორაციო და საბანკო სამართალი. აღნიშნულ სფეროებში სასერტიფიკატო პროგრამები პარტნიორების მხარდაჭერით დაინერგა. 2010 წლის საგაზაფხულო სემესტრში ეს ორივე სასერთიფიკატო პროგრამა იყო უფასო და პილოტირებულ რეჟიმში განხორციელდა, თუმცა 2010 წლის შემოდგომის სემესტრიდან ის ფასიანი გახდება სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. სასერტიფიკატო პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს. თსუ-ის სტუდენტებისთვის კი ეს პროგრამა კვლავ უფასო იქნება.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ასევე ის, რომ 2010 წლის სექტემბრიდან ბათუმში გაიხსნება ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტთან ერთობლივი საზაფხულო სკოლა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. საზაფხულო სკოლაში შეისწავლიან ევროპულ სისხლის სამართალს.

იურიდიულ ფაკულტეტზე საფუძველი ჩაეყარა სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. უცხოელი და ქართველი პროფესორების თანახელმძღვანელობით სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ახალგაზრდა მკვლევრებისთვის. იურიდიული ფაკულტეტის სამი ასისტენტ-პროფესორი ბერლინში და იენაში ჩამბმულია სისხლის სამართლის ერთობლივ სადოქტორო პროგრამაში, სადაც უცხოელი თანახელმძღვანელის ზედამხედველობითა და კონსულტაციებით იკვლევენ სადოქტორო თემას.

დიდი ყურადღება ეთმობა ფაკულტეტზე სადოქტორო დისერტაციების დონეს. სადოქტორო პროგრამის არსებობის მანძილზე სულ 14 სადისერტაციო ნაშრომი იქნა დაცული.

კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით, ფაკულტეტზე რამდენიმე კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, რამაც კვლევებს უფრო სისტემური ხასიათი შესძინა. კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის ეგიდით ჩატარდა დიდი საკონფერენციო შეხვედრა, რომელიც არასრულწლოვანთა დანაშაულობის საკითხებს შეეხებოდა. 2004 წლიდან ასეთი დონის შეხვედრა ფაკულტეტზე, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა. შეხვედრას ესწრებოდნენ პირველი, მეორე, მესამე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები სისხლის სამართლის სფეროში.

ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი მალე ფაკულტეტის ერთ-ერთი სიამაყე გახდება.

2010 წლის თებერვალში თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე დაფუძნდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლის შექმნა განაპირობა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების როლისა და გამოყენების ინტენსივობის მკვეთრმა ზრდამ, რამაც არბიტრაჟისა და მედიაციის მეცნიერულ კვლევას აქტუალობის ახალი ხარისხი შესძინა. უკვე ჩამოყალიბებულია პროექტი, რომელიც მალიბუს უნივერსიტეტთან ერთობლივად იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე მედიაციის სამართალის ცენტრის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

სამეცნიერო აქტიურობის წახალისებას ფაკულტეტზე ხელს უწყობს სამეცნიერო ჟურნალების გამოცემაც. სამეცნიერო ჟურნალები არის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა სავიზიტო ბარათები. ამ მხრივ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ბევრი რამ გააკეთა.

ფაკულტეტზე დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციას. სტუდენტი თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებას ვერ ეზიარება, თუკი ის არ გაეცნობა თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებას. ამის გათვალისწინებით, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცდილობს — რაც შეიძლება მეტი უცხოელი მეცნიერის ლექცია მოასმენინოს სტუდენტებს.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ყურადღება გაამახვილა ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზეც:

„ჩვენ გვაქვს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა კიოლნის უნივერსიტეტთან. ეს არის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც თავიდან ბოლომდე გერმანულ სტანდარტებზეა აგებული. ამ პროგრამის ფარგლებში თსუ-ში 14 სტუდენტი სწავლობს. ისინი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კიოლნის უნივერსიტეტის დიპლომს მიიღებენ.

2009 წლიდან თსუ-ში ხორციელდება ქალაქ შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან ერთობლივი ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობის სფეროში. თანამშრომლობა ხორციელდება თსუ-ის რექტორის, ბატონ გიორგი ხუბუასა და შპაიერის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, ბატონ კარლ-პეტერ ზომერმანის ინიციატივით. პროგრამა ემსახურება კვალიფიციურ საჯარო მოხელეთა აღზრდასა და შემდგომ გადამზადებას.

ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობთ საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დანერგვა იგეგმება მაასტრიხტის უნივერსიტეტთან. მაასტრიხტის უნივერსიტეტთან ერთობლივად 2011 წლიდან ლექციათა სრული კურსი იქნება შეთავაზებული ევროპის საკორპორაციო და ევროპის სამოქალაქო სამართალში. 2011 წლიდან ასევე ვგეგმავთ ერთობლივი რეფერირებადი ელექტრონული ინგლისური ჟურნალის გამოცემას ტრნავას უნივერსიტეტთან (სლოვაკია). გარდა ამისა, შემოდგომის სემესტრში ტარტუს უნივერიტეტიდან გვეწვევიან პროფესორები ლექციათა სრული კურსის წასაკითხად სამართლის სხვადასხვა სფეროებში“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა. მან პარტნიორ ორგანიზაციებს: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ), ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA Rule of Law Initiative) და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამას (AFP) იურიდიული ფაკულტეტის სახელით მადლობის სიგელები გადასცა.

ირაკლი ბურდული თავის მოხსენებაში შეეხო აგრეთვე ფაკულტეტზე განხორციელებულ ადმინისტრაციულ რეფორმებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურების საკითხებს. ამ რეფორმის საბოლოო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორის ხელფასი გაუტოლდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასს, რომელიც 4100 ლარს შეადგენს.

ასევე აქტიურად მუშაობს ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდი, რომელიც ყოველწლიურად 30-35 სტუდენტის საერთაშორისო აქტივობას აფინანსებს. ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს ამ მიმართულებით წარმოადგენს საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსება. სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ ამ პროცესებში და მაღალ შეფასებასაც იმსახურებენ.

ყოველწლიურად თსუ-ის ბიუჯეტიდან ფინანსდება მაგისტრანტ სტუდენტთა სწავლის საფასურის 10% და თუკი გამონახული იქნება კიდევ დამატებითი სახსრები როგორც ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, ასევე უცხოური ორგანიზაციებიდან, მაშინ ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს გაჩნია საქართველოში ყველაზე მდიდარი იურიდიული ლიტერატურა. მოხდა ელექტრონული კატალოგიზაცია მთელი იურიდიული ლიტერატურისა, რაც ფაკულტეტზე ინახება. 2010 წლიდან ამოქმედდა ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი.

ანგარიშის წარდგინების ბოლოს ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა დიდი მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მაღალი შეფასება მისცეს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ გაწეულ მუშაობას და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლების მეთოდების შესახებ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა კერძო სამართლის მიმართულების სრულმა პროფესორმა, ბატონმა ბესარიონ ზოიძემ, რომელმაც აღნიშნა: „ამ ცოცხალ ორგანიზმს აკლია ერთი რამ, ერთიანი ნორმატიული კონცეფცია იურიდიული განათლების შესახებ. ეს სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს. ვიდრე ერთიანი კონცეფცია არ ჩამოყალიბდება, მანამდე იურიდიული განათლების ერთიანობის მიღწევა უნივესიტეტების დონეზე შეუძლებელი იქნება. უნდა გამოიცეს სასამართლოს რჩეული გადაწყვეტილებები უშუალოდ სტუდენტებისათვის, როგორც ეს არის გერმანიაში, სადაც გამოიცემა არა მარტო კონსტიტუციური სასამართლოს, არამედ ყველა სხვა სასამართლოების რჩეული გადაწყვეტილებები, რათა ამ გამოცდილების საფუძველზე გაიზარდონ მომავალი იურისტები.“

მეთოდოლოგიური კვლევების გაძლიერების აუცილებლობაზე ისაუბრა სისხლის სამართლის სრულმა პროფესორმა გურამ ნაჭყებიამ. მან ხაზი გაუსვა ფაკულტეტზე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის სწავლების მიზანშეწონილობას, რომლის გარეშეც მაღალკვალიფიციური იურისტის გაზრდა შეუძლებელია.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების სახელით ისაუბრა ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა, „ELSA-საქართველოს“ პრეზიდენტმა ირაკლი სამხარაძემ, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტის მიერ აღებული კურსი დადებითად შეაფასა.

ALUMNI

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დარეგულირებისა და მათთან კონტაქტების გაღრმავების მიზნით შეიქმნა კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის კოორდინატორადაც კონკურსის საფუძველზე მარიამ ქებურია შეირჩა.

მაია ტორაძე

აღნიშნული სამსახური ჩამოყალიბდა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. პროექტი ითვალისწინებს კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებას, 2011-2012 წლის სამოქმედო გეგმის შედგენას, „საწყისი“ საჯარო ღონისძიების მოწყობას, უნივერსიტეტის საზოგადოებაში კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის პოპულარიზაციას და თსუ-ის კურსდამთავრებულთა ბაზის კონფიგურაციას.

ამავე პროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოში მუდმივად მცხოვრები ამერიკელი ექსპერტის შერჩევა, რომელიც უკვე არჩეულ კოორდინატორს, მარიამ ქებურიას ოფისის აწყობაში დაეხმარებოდა. ამ კუთხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მუშაობენ საქართველოში მცხოვრები მოხალისე კონსულტანტი, ქალბატონი ტრიშა ბერგმანი, რომელიც შეირჩა World Learning FORECAST-ის მიერ და საერთაშორისო ექსპერტი, ბულგარეთში ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი განვითარების მიმართულებით, პროფესორი უილიამ კირხე, რომელმაც თავისი პირველი ვიზიტის ფარგლებში აღნიშნულ საკითხებზე უნივერსიტეტში ტრენინგი უკვე ჩაატარა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და ფინანსების მოზიდვის საკითხებითაა დაკავებული.

კონკრეტულად რა გეგმებს ისახავს უახლოეს მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, ამ საკითხზე გვესაუბრება სამსახურის კოორდინატორი მარიამ ქებურია.

— კონკურსში მონაწილეობა თავისთავად გულისხმობდა, რომ გქონდა ამ სამსახურის განვითარებისა და ჩამოყალიბების შენეული გეგმა. როგორ ხედავ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განახლების პერსპექტივას, რა კონკრეტული გეგმები არსებობს ამისთვის?

— უნივერსიტეტს წარმატებულ კურსდამთავრებულთა ისეთი ბაზა აქვს, რომ საქართველოში მას კონკურენციას ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ უწევს. ყველა კურსდამთავრებულს აქვს უნივერსიტეტელობის განსაკუთრებული გრძნობა და ზუსტად ვიცი, რომ ურთიერთობის განახლება არ გაგვიჭირდება. ჩვენ გვინდა, მათ გავუძლიეროთ უნივერსიტეტის სიყვარული და იმდენად მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ მათთან, რომ მთელი ცხოვრება უნივერსიტეტელად იგრძნონ თავი.

კონკრეტულ გეგმებს რაც შეეხება — ჩვენ გვინდოდა პირველ ეტაპზე უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის გაგვეცნო ამ სამსახურის ფუნქციები და აგვეხსნა, რის გაკეთებას ვაპირებთ. ამისთვის შედგა პროექტის პრეზენტაცია და ჩავატარეთ ტრენინგები. სავარაუდოდ, სწორედ ეს ხალხი დაგვეხმარება მომავალში კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის საკითხების მოგვარებაში.

— რა სახის ურთიერთობა იგეგმება კურსდამთავრებულებთან?

— სწორედ ამის განსაზღვრაში გვეხმარებიან უცხოელი ექსპერტები. დაგეგმილია კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარებისთვის საჭირო პოტენციალის შეფასება, კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარებისთვის სათანადო ღონისძიებების გატარება და სისტემის ჩამოყალიბება. პროფესორი უილიამ კირხე გვეხმარება ფინანსების მოზიდვის საკითხების განსაზღვრასა და დაგეგმარებაში.

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი გარემო, რომ კურსდამთავრებულებს გაუჩნდეთ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი — ეს იქნება საჩუქრის, ფულადი ან ინტელექტუალური დახმარების სახით, თუმცა მათთან ურთიერთობა არ იქნება ცალმხრივი – უნივერსიტეტიც შესთავაზებს თანამშრომლობას და დახმარებას. კონტაქტების დარეგულირების მიზნით, ჩვენ გვინდა, მთლიანად მოვიცვათ მათი კოორდინატები და ჩავაბათ ისინი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, გვქონდეს გარკვეული კავშირები, ვუგზავნიდეთ ცნობის ფურცელს ან იგივე საუნივერსიტეტო გაზეთს, რომ საქმის კურსში იყვნენ – როგორ ვითარდება უნივერსიტეტი და რა პროექტები ხორციელდება სასწავლო პროცესში.

— ამჯერად რა ეტაპზეა პროექტის განხორციელების პროცესი?

— ამჯერად უცხოელი ექსპერტების დახმარებით ვმუშაობთ 2011-2012 წლის სამოქმედო გეგმის შედგენასა და კურსდამთავრებულთა საკონტაქტო ბაზის ფორმირებაზე, რასაც, დაახლოებით, ოქტომბრის თვეში მოყვება „საწყისი“ საჯარო ღონისძიების მოწყობა, რომელზეც მოვიწვევთ წარმატებულ კურსდამთავრებულებს. ეს იქნება გაცნობითი ხასიათის ღონისძიება, რომელიც შემდეგ უკვე კონკრეტულ ურთიერთობებს დაარეგულირებს.

— ითვალისწინებს თუ არა პროექტი უნივერსიტეტის დღევანდელი კურსდამთავრებულების დასაქმებას?

— არა, ეს პრიორიტეტი ჩვენ არ გვაქვს, თუმცა თუ ამის სურვილს გამოთქვამენ, ცხადია, სასიამოვნო იქნება.

როგორც მარიამ ქებურია აცხადებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური ამერიკული გამოცდილებით ხელმძღვანელობს. იგი იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტი, როგორც ბევრი სხვა მიმართულებით, ამ საქმეშიც ლიდერი იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში.

პირველი ქართველი ასტრობიოლოგები NASA-ში

მიმდინარე წლის აპრილში აშშ ქ. ჰიუსტონში გაიმართა საერთაშორისო ასტრობიოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნუგზარ ალექსიძე და დოქტორი მ. ტარასაშვილი. კონფერენციაზე წარდგენილი იყო მოხსენება „მარსის მიკრობიოლოგიური რემედიაცია პლანეტის მომავალი ტერაფორმირებისათვის“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოხსენებაში განხილული იყო მარსის გრუნტის მიკრობიოლოგიური რემედიაციის შედეგები, ნაჩვენები იყო საქართველოს ექსტრემალურ რეგიონებში მოპოვებული გოგირდის, რკინისა და სხვა ავტოტროფული მიკროორგანიზმების გამოყენებით მარსის გრუნტში მცირე ზომის ბიოორგანული ეკოსისტემების წარმოქმნა, საიდანაც გამოყოფილი და შესწავლილი იქნა მოქმედი მიკროორგანიზმები. ამ ცდებით დამტკიცდა, რომ მარსის გრუნტი არ არის ბაქტერიციდული და, პერსპექტივაში, შესაძლებელია მარსის გრუნტისა და ატმოსფეროს ეკოპოესი ბიორემედიაციის გზით, რაც მარსზე ცოცხალი ორგანიზმების, კერძოდ, მიკროორგანიზმების და გენმოდიფიცირებულ მცენარეთა განსახლების საშუალებას მოგვცემს.

მას შემდეგ, რაც დადასტურდა ცოცხალი ორგანიზმების არსებობა მზის და ჟანგბადის გარეშე, ქართველ მეცნიერთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ მარსზე არსებული ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით, ბიორემედიაციის პირველ ეტაპზე უპირატესად დასაშვებია ანაბიოზური უნარის მქონე ბიკროორგანიზმების არსებობა, რომლებიც ადაპტირებული იქნებიან +27⁰C და -120⁰C ტემპერატურული რყევის მიმართ. კონფერენციაზე გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ ამერიკელი კოლეგების დიდი ინტერესი გამოიწვია და ამ მიმართულებით ქართველ მეცნიერებს თანამშრომლობა შესთავაზეს.

მიმდინარე ეტაპზე მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს მარსის პირობებისადმი ადაპტირებული ავტოტროფი მუტაციური შტამების გამოყვანა, რაც მარსის გრუნტის ბიორემედიაციის და მისი შემდგომი ტერაფორმირების საშუალებას იძლევა.

განსაკუთრებით სასარგებლო გამოდგა ქართველ ასტრობიოლოგთა შეხვედრები NASA-ს და ESA-ს თანამშრომლებთან. ისინი შეხვდნენ NASA-ს ცენტრის ხელმძღვანელობას, ნობელის პრემიის ლაურეატ ასტრობიოლოგ კარლ პიტჩერს, ევროპის კოსმოსური სააგენტოს პროფესორს ნილს ჰოლმს. ასეთმა საქმიანმა შეხვედრებმა განსაზღვრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრობიოლოგიური ჯგუფის მომავალი კავშირები NASA-ს და ESA-ს სამეცნიერო ცენტრებთან და მათი თანამშრომლობის პერსპექტივები.

თსუ რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას დაინტერესებითა და ხელშეწყობით მომზადდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამა ასტრობიოლოგიაში. როგორც ჩვენთან საუბარში პროფესორმა ნუგზარ ალექსიძემ განაცხადა, მაგისტრანტების მიღება ამ მიმართულებით უკვე გამოცხადდა. „ველით ახალგაზრდა ასტრობიოლოგების წარმოჩენას სამეცნიერო არენაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ NASA სამუშაოებს ატარებს ახალგაზრდა სპეციალისტებთან, ახალგაზრდა ასტრობიოლოგებისათვის იმართება კონფერენციები, სკოლები, მუშაობს სამაგისტრო პროექტები, დოქტორანტურა და ა.შ. უახლოეს დღეებში გამიზნულია ასტრობიოლოგთა სემინარისა და სამეცნიერო კონფერენციის მოწვევა, სადაც დაფუძნდება საქართველოს ასტრობიოლოგიური ინსტიტუტი. ეს საშუალებას მოგვცემს გავხდეთ NASA-ს ასოცირებული წევრი, რის საფუძველზეც შესაძლებელია ამ ორგანიზაციასთან ოფიციალური საპროექტო თანამშრომლობის განხორციელება. ამ პროექტისადმი მხარდაჭერა ამერიკაშივე გამოითქვა“. — განაცხადა მან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და თსუ-ის მხარდაჭერით უნივერსიტეტში დამზადდა მარსის მოდელური ლაბორატორია. მარსზე არსებული ექსტრემალური ფაქტორების (რადიაცია, ტემპერატურა, ატმოსფერო) დინამიკა დღისა და ღამის განმავლობაში დამუშავდა მათემატიკურად, რაც მარსის კამერაში დისტანიური მართვითაა რეალიზებული. შეიქმნა ასტრობიოლოგიური კვლევებისადმი ადაპტირებული თანამედროვე დონის მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური ლაბორატორიები, სადაც წარმატებით მუშაობენ საპროექტო ჯგუფის წევრი მიკრობიოლოგები და მაგისტრები.

პროფესორ ნუგზარ ალექსიძის თქმით, უახლოეს მომავალში ახალგაზრდებიც ჩაერთვებიან პლანეტა მარსის ათვისების პროექტის კვლევებში, რითაც შესაძლებელი გახდება კოსმოსურ მეცნიერებათა აღორძინება და მისი ახალი მიმართულების - ასტრობიოლოგიის განვითარება.

„ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

დაახლოებით ერთი თვეა, რაც თსუ-ში „ისტორიკოსთა კლუბი“ ჩამოყალიბდა. კლუბი სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით შეიქმნა. მასში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტებია გაწევრიანებული.

9 ივნისს „ისტორიკოსთა კლუბის“ წევრებმა პირველი სამეცნიერო კონფერენცია გამართეს თემაზე: „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, რომელშიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თოთხმეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. საკუთარი ნაშრომები პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა წარადგინეს. კონფერენციაზე 1918-1921 წლებში საქართველოში არსებული პოლიტიკური გარემო განიხილეს. სტუდენტების პრეზენტაციები ამ პერიოდში ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, საერთაშორისო კავშირებს და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობებს, ქართული ეკლესიის როლს შეეხებოდა. პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან მიმართებაში მიმოიხილეს 1918-1921 წლების ქართული პრესაც. კონფერენციაზე სულ 15 ნაშრომი იყო წარმოდგენილი, მათ შორის: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის შეიარაღება რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიოდში (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრატურა, კურსი I, დავით სილაქაძე), 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია — მიზეზები, შედეგები, ისტორიული შეფასებები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრატურა, პირველი კურსი, მარგო კუბლაშვილი), განათლების რეფორმა საქართველოში 1918-1921 წლებში (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრატურა, კურსი I, შორენა ხარაიშვილი), საქართველო-გერმანიის ურთიერთობები 1918-1921 წლებში (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კურსი მესამე, ნინო გიგოიძე), საქართველოს ეკლესია 1918-1921 წლებში (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კურსი III, ლიკა ბურჭულაძე), ქართული პრესა უნივერსიტეტის დაარსების შესახებ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კურსი მესამე, თინათინ ჯანგიძე).

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული თსუ-ის პროფესორი ბონდო კუპატაძე, რომელიც სტუდენტების მუშაობის პროცესს ხელმძღვანელობდა.

„კონფერენცია 1918-1921 წლებში არსებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას ეხება. ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ 90 წელი გავიდა და ჩვენი კონფერენციაც სწორედ ამ კონტექსტში ტარდება. სტუდენტებმა მოხსენებები პოლიტიკურ, კულტურულ და განათლების სფეროების შესახებ წარმოადგინეს. ერთ-ერთი ნაშრომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ეხება. საყურადღებოა, რომ ჩვენ ასეთ ვითარებაში პირველ ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკას ვიხსენებთ. ეს მნიშვნელოვანი სამწლიანი ეპიზოდია საქართველოს ისტორიაში“, — განაცხადა ბონდო კუპატაძემ.

სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ მონაწილეებს სპეციალური სიგელები და სამახსოვრო სუვენირები გადაეცათ.

„ჩვენთვის სასიხარულოა, რომ როგორც ბაკალავრიატის, ასევე, მაგისტრატურის ბევრი სტუდენტი დაინტერესდა, მუშაობის პროცესში პროფესორ-მასწავლებლებიც ჩაერთვნენ. ვფიქრობ, საინტერესო კონფერენცია გამოვიდა, რადგან მონაწილეებმა საკმაოდ საყურადღებო მოხსენებები წარმოადგინეს. აღსანიშნავია, რომ მათ თავად მოიფიქრეს — თუ რა შინაარსის თემები უნდა წარმოედგინათ კონფერენციაზე“, — გვითხრა „ისტორიკოსთა კლუბის“ წარმომადგენელმა ელენე გელაშვილმა.

„ისტორიკოსთა კლუბმა“ სამეცნიერო კონფერენციის გარდა უკვე ორი საჯარო ლექცია გამართა. მათივე ორგანიზებითა და ინიციატივით თსუ-ში ტაო-კლარჯეთის ამსახველი ფოტო-გამოფენა გაიმართება. პარალელურად მოეწყობა ფილმის ჩვენება, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში ქართული ისტორიული ძეგლების დაზიანებულ მდგომარეობას ასახავს.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

10-11 ივნისს თსუ-ში „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და გარე სამყაროს“ თემაზე რესპუბლიკური კონფერენცია მიმდინარეობდა. სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანული კვლევების სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მასში თსუ-ის, გორისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.

კონფერენცია ქრისტიანული კვლევების სტუდენტთა სამეცნიერო კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით გაიმართა. მონაწილეების ნაშრომები საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკის გახლდათ. მაგალითად: ნანა გოჯილაშვილის — „ნესტან-დარეჯანისეული სამხრის სიმბოლური შინაარსი“, ზინაიდა თოიძის — „ტამპლიერების ორდენის დაშლა“, ლეილა მებაღიშვილის — „ეკუმენური მოძრაობის რაობისთვის“, თამარ შალამბერიძის — „ლოცვა აკაკი წერეთლის ლირიკაში“, ლაშა დოხაძის — „რამდენიმე საკითხი აფხაზეთის ფალსიფიცირებული ისტორიიდან“ და ა.შ.

„კონფერენცია მხოლოდ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას არ ეხებოდა, საქართველოს ეკლესიის ისტორიის გარდა, საუბარი შეეხებოდა ქრისტიანობის ყველა შიდა მიმდინარეობებს, კერძოდ: კათოლიციზმს, პროტესტანტობას, არაკომპესირებულ ქრისტიანულ რელიგიებს, ე.წ. მწვალებლებს და ა.შ. მონაწილეები არც ეპოქით ყოფილან შეზღუდულები. ქრისტიანობა ინტერდისციპლინური დარგია და იგი უამრავ მომიჯნავე დარგს მოიცავს. სწორედ ამიტომ, აქ მონაწილეობა მიიღეს ფილოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტებმა... კონფერენციაში ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების გარდა პროფესორ-მასწავლებლებიც იყვნენ ჩართულები“, - განაცხადა ქრისტიანული კვლევების სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან პავლიაშვილმა.

წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის სამეცნიერო კვლევების სტუდენტთა ცენტრის მიერ გამართული კონფერენციის მასალები ჟურნალ „ქრისტიანულ კვლევებში“ დაიბეჭდება. ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და საქართველოს გარდა 12 ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ვრცელდება. იბეჭდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მისი მთავარი რედაქტორი ცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან პავლიაშვილი გახლავთ.

II ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

15 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში II სტუდენტური რეგიონთაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ფარგლებში განხორციელდა.

კონფერენციის მიზანი იყო კონფლიქტების წინააღმდეგ თანამშრომლობის ახალი პერსპექტივებისა და საშუალებების წარმოჩენა, ახალი გზების, პოზიციების დასახვა. კონფერენციის თემის ირგვლივ საფუძვლიანი ანალიზი წარმოადგინეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 15-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა. რესპუბლიკურ კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის, გორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების, კავკასიის სამართლის სკოლის, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის, თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის და გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

კონფერენციის პლენარული სხდომა გახსნა კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა თამარ პაიჭაძემ, რომელმაც აღნიშნა: „მეცნიერება ის ენაა, რომელმაც შეიძლება დაარეგულიროს კონფლიქტი. გვსურდა, რომ სტუდენტებს ახალი სიტყვა ეთქვათ — თუ რა გზებით წარმოუდგენიათ კონფლიქტების მოგვარება. კონფერენციისთვის 100 საუკეთესო მოხსენება შევარჩიეთ, გვსურს, საზოგადოებას დღევანდელი თაობის ხედვა გავუზიაროთ კონფლიქტების დარეგულირების საკითხების შესახებ“.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი შოთა ახალაია, სსიპ გორის უნივერსიტეტის პროფესორი თამარ გოგოლაძე, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი კახაბერ ლორია, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი თემურ პაპასკირი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნანა კუცია, თსუ-ის მაგისტრანტი მარი ბეჟიტაშვილი და სხვები, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს ახალგაზრდობის განსაკუთრებული როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

„კონფერენციაზე წარმოდგენილია ინტერესების ფართო სპექტრი. საინტერესო და მნიშვნელოვანია სტუდენტების აზრი კონფლიქტების მოგვარების საკითხში, თუ როგორ ესმით, როგორ ხედავენ კონფლიქტების მოგვარების რეალურ პერსპექტივებს. გაიაზრებენ თუ არა ახლებურად, მეცნიერულად ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემურ საკითხებს. მართალია, კონფერენცია, პირველ რიგში, სამეცნიერო ხასიათისაა, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმ ერთსულოვნებას, რომელიც მყარდება სტუდენტებს შორის და ყველას მომავლის იმედით განგვაწყობს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

კონფერენციის მომხსენებლებმა 100-მდე ნაშრომი წაიკითხეს. კონფერენცია თემების მიხედვით IX სექციად იყო დაყოფილი: სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია, (ხელმძღვანელები, პროფესორები: რამაზ ჯორბენაძე და ელგუჯა ქავთარაძე); სოციალური მეცნიერებანი: პოლიტოლოგია, ჟურნალისტიკა (ხელმძღვანელები, პროფესორები: დალი ოსეფაშვილი, ნანი მაჭარაშვილი); ჰუმანიტარული მეცნიერებები: ისტორია, კულტუროლოგია, ხელოვნება (ხელმძღვანელები, პროფესორები: თეიმურაზ პაპასკირი და ირინა მირიჯანაშვილი); ჰუმანიტარული მეცნიერებები: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა (ხელმძღვანელები, პროფესორები: ინგა სანიკიძე, ნანა გონჯილაშვილი; ნანა კუცია, ნინო მინდიაშვილი; თამარ შარაბიძე, თამარ გოგოლაძე, თამარ პაიჭაძე, რუსუდან ბურჯანაძე); ეკონომიკა, ბიზნესი (ხელმძღვანელები, პროფესორები: ინეზა გაგნიძე, შოთა შაბურიშვილი); სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია (ხელმძღვანელები, პროფესორები: მედეა დესპოტაშვილი, მამული ბერია); სკანდინავისტიკა (ხელმძღვანელები, პროფესორები: კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდი).

წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირების კვლევა საზოგადოებრივი ცხოვრების კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება და ახალგაზრდების დიდ ინტერესს იწვევს. მოხსენებებში განხილული იყო კონფლიქტი, როგორც სოციალურ-ფსოქოლოგიური ფენომენი, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ომი და ეკოლოგიური საფრთხეები, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები, ისტორიის, კულტურის, ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები.

კონფერენციაზე მოწვეულმა სტუმრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ თსუ ყოველთვის წარმოადგენდა კონფლიქტების სამეცნიერო კვლევების უმნიშვნელოვანეს ცენტრს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის განვითარების, კონფლიქტების დარეგულირებისა და მოწესრიგების საქმეში.

კონფერენციის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს თსუ-ის რექტორს, ადმინისტრაციას თანადგომისა და ფინანსური დახმარებისათვის.

სტუდენტური საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტის პრეზენტაცია

11 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციური კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია გაიმართა. თსუ–ს სტუდენტებით დაკომპლექტებული საკონსტიტუციო კომისია 7 თვის მანძილზე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში კომისიის წევრები რეგიონებშიც იმყოფებოდნენ და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან კონსულტაციებს მართავდნენ.

პრეზენტაციას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე – ავთანდილ დემეტრაშვილი და კომისიის სხვა წევრები დაესწრნენ. შეხვედრაში მონაწილეობას საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და კონსტიტუციონალისტები იღებდნენ.

როგორც კომისიის წევრებმა აღნიშნეს, კონსტიტუციური კანონპროექტი პასუხობს ყველა გამოწვევას და მასში მხოლოდ აუცილებელი ცვლილებებია შეტანილი. სტუდენტების მიერ შემუშავებულ კანონპროექტში ძალაუფლება თანაბრად არის გადანაწილებული, გაძლიერებულია აღმასრულებელი ხელისუფლება და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი; სტუდენტებმა ორპალატიანი პარლამენტის მუშაობისთვის საჭირო მუხლებიც შეიმუშავეს. ეროვნული კრებისა და სენატისგან შემდგარი პარლამენტი პროპორციული წესით და ტერიტორიული ერთეულების მიერ არჩეული სენატორებისგან დაკომპლექტდება. კანონპროექტში დამატებულია ახალი თავი, რომელიც ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულაციას ახდენს. კონსტიტუციაში გათვალისწინებული ეს თავი 4 განსაკუთრებული სტატუსის და 9 ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში ასევე გათვალისწინებულია შეზღუდული უნარების მქონე პირთა უფლებების კონსტიტუციური გარანტიები, აღნიშნული საკითხით დაინტერესდნენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრები და მათი გაცხადებით ამ საკითხზე მუშაობა აუცილებელია.

აღნიშნული კანონპროექტი განსახილველად სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას გადაეცა. კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ დემეტრაშვილის განცხადებით მსგავსი აქტიურობა სტუდენტების მხრიდან ყოველთვის მისასალმებელია. „ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების დაკვეთა კონსტიტუციის რეფორმის აუცილებლობასთან დაკავშირებით სტუდენტებსაც აქვთ გააზრებული. მსურს, რომ მუშაობა გაგრძელდეს, კანონპროექტში არის გარკვეული შეუსაბამობა, რომელსაც დახვეწა სჭირდება. ყველა რაციონალური წინადადება განსახილველად აუცილებლად იქნება გატანილი საკონსტიტუციო კომისიაზე“, – აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

საზაფხულო სამეცნიერო აკადემია

თამარ მარუაშვილი

21 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში VIII—IX კლასების მოსწავლეთათვის „საზაფხულო სამეცნიერო აკადემია“ გაიხსნა.

მთელი საქართველოს მასშტაბით წინასწარ შეირჩა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებით დაინტერესებული 39 მოსწავლე. ისინი 21 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამაში ჩაერთვებიან. აკადემიის მოსწავლეთათვის ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, პროფესორები: ფრიდონ შუბითიძე (დარტმუთის კოლეჯი, აშშ) და ზაალ კოკაია (ლუნდის უნივერსიტეტი, შვეცია) წაიკითხავენ. სწავლის პროცესში გაიმართება ვიდეოკონფერენცია მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის რობოტიკის ლაბორატორიიდან, მონაწილეებს აგრეთვე ელით თსუ-ის პროფესორების და მოწვეული მეცნიერების საინტერესო ლექციები და ექსპერიმენტები.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის ხელმძღვანელმა ხათუნა კახიანმა მოსწავლეებს გააცნო საზაფხულო-სამეცნიერო აკადემიის მიზნები, სამუშაო გეგმები და სპეციფიკა. მან აღნიშნა, რომ მოსწავლეს ამ აკადემიაში სწავლა დაეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებასა და ინტერესების კოორდინაციაში. მოსწავლეს საშუალება ეძლევა — უფრო ღრმად შეისწავლოს ინტერესის საგანი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, სწავლას რა მიმართულებით გააგრძელებს.

აკადემიის მუშაობის დაწყება მოწვეულ სტუმრებს თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიულოცა და აღნიშნა, რომ: „ქვეყანას ინჟინრები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლები, ტექნიკური განათლების მქონე ადამიანები სჭირდება. მსგავსი ღონისძიებებით ვცდილობთ ვაზიაროთ ახალგაზრდობა სხვადასხვა მეცნიერებებს. ამავე დროს, საბავშვო უნივერსიტეტი ამყარებს კავშირს სკოლასა და უნივერსიტეტს შორის“.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ ბოჭორიშვილი მოსწავლეებს ამ ფაკულტეტის საქმიანობის, წარმატებების, მიღწევების, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების, უცხოელი პარტნიორების, ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ ესაუბრა და ნათლად დაანახა ის პერსპექტივები, რომელიც ქვეყანაში ამ მეცნიერებების განვითარებას მოჰყვება.

პირველი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე, მის მნიშვნელობასა და მისიაზე საინტერესოდ ისაუბრა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ მარინა ღომოურმა, რომელმაც მოსწავლეებს უნივერსიტეტის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ მოუთხრო.

თელეთის საჯარო სკოლის VIII კალასის მოსწავლემ თორნიკე მინდიაშვილმა მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას სკოლის მოსწავლეების ცოდნის გაღრმავებაზე ზრუნვისთვის და აღნიშნა, რომ საზაფხულო სამეცნიერო აკადემია დაეხმარება მათ სწორი არჩევანის გაკეთებასა და საკუთარი ინტერესის სწორი მიმართულებით წარმართვაში.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ–სა და ნოტარიუსთა პალატას შორის

ნინო კალანდია

8 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ნოტარიუსთა პალატას შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ისს რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და პალატის თავმჯდომარემ ნინო ხოფერიამ მოაწერეს.

თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრებს გამართავენ და ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ.

„მოხარული ვარ, რომ თანამშრომლობის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ პრაქტიკა გაიარონ ნოტარიუსთა პალატაში. რაც უფრო მაღალი ხარისხის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ექნება სტუდენტს, მით მეტია მისი მომავალი დასაქმების პერსპექტივა. ჩვენ ორიენტირებული ვართ არა მარტო სტუდენტების განათლებაზე, არამედ მათ პერსპექტიულ მომავალზეც“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

პირველი შეხვედრა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან შედგა. ნინო ხოფერია მათ სანოტარო მომსახურებაში დანერგილ და სამომავლოდ დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა.

„ნოტარიუსთა პალატის ბაზაზე შეიქმნება იურიდიული კლინიკა, რომლის ფარგლებშიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტები პრაქტიკებს გაივლიან. ჩვენ დაინტერესებული ვართ პროფესიონალი კადრებით და გვსურს ახალ თაობას ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ“, — განაცხადა სტუდენტებთან შეხვედრისას პალატის თავმჯდომარემ.

შეხვედრისას ახალი პროექტიც დაიგეგმა, რომლის მიხედვითაც სანოტარო სამართლის პრობლემების შემსწავლელი ერთობლივი კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდება. ინსტიტუტში ორივე მხარის წარმომადგენლები გაერთიანდებიან და ნოტარიუსთა შესახებ კანონის და სანოტარო პრაქტიკის კომენტარებს შეიმუშავებენ. ერთობლივი ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც გერმანელი ექსპერტებიც ჩაერთვებიან, პროექტს თვის ბოლოსთვის წარადგენს.

გერმანიის პარლამენტის სტიპენდიის პროგრამა

10 ივნისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა საინფორმაციო ღონისძიება, სადაც დაინტერესებულ სტუდენტებს გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგის) სტიპენდიის პროგრამა — „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია (IPS)“ გააცნეს.

საელჩოს პრეს-ატაშემ ქრისტიან პლატემ სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის მიზნების შესახებ და აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც კარგად ფლობენ გერმანულ ენას.

გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე და პოლიტიკით დაინტერესებულ 100 ახალგაზრდას მსოფლიოს 21 ქვეყნიდან ყოველწლიურად აძლევს შესაძლებლობას გერმანიაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს უშუალოდ გაეცნოს. სტიპენდიატებს შესაძლებლობა ეძლევათ იმუშაონ ბუნდესტაგის დეპუტატთა ბიუროებში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებსა და შემეცნებით ექსკურსიაში.

გერმანიის ბუნდესტაგი „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამას 1986 წლიდან ახორციელებს. პროგრამის მიზანია აამაღლოს ახალგაზრდობის ინტერესი დემოკრატიისადმი, შესძინოს მათ მეტი გამბედაობა და გაუღვიძოს სურვილი, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პროცესში.

2011 წლის სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განცხადების შეტანის ვადა 2010 წლის 30 ივნისს იწურება. განცხადებები მიიღება გერმანიის საელჩოში. პროგრამის ფარგლებში მგზავრობის, ბინის, კვების, დაზღვევისა და ყოველთვიური სტიპენდიის ხარჯებს გერმანიის ბუნდესტაგი გაიღებს.

თსუ–ის მემორანდუმი სახელმწიფო თეატრებთან

7 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ინიციატივა თსუ–ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ეკუთვნით. მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტების თეატრალურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა.

თანამშრომლობის ფარგლებში ორივე თეატრის ადმინისტრაციამ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის 50% ფასდაკლება დააწესა. სალაროში სტუდბილეთის წარდგენის შემდეგ სტუდენტების არასაპრემიერო სპექტაკლზე დასწრებას ნახევარ ფასად შეძლებენ.

„ნორჩი ეკონომისტის სკოლის“ კურსდამთავრებულები

11 ივნისს თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მოეწყო „ნორჩი ეკონომისტის სკოლის“ მოსწავლეთა საზეიმო გამოშვება.

2009-2010 სასწავლო წლის მანძილზე „ნორჩი ეკონომისტის სკოლაში “50 მოსწავლე დადიოდა. მათ ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ ლექციებს თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები უკითხავდნენ. საბავშვო უნივერსიტეტში წელს ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ ლექციებს დაბალი კლასების მოსწავლეებიც ისმენდნენ. ლექტორების განცხადებით, მიუხედავად ასაკისა, ისინი ეკონომიკის მეცნიერებას საკმაოდ დიდი ინტერესით მოეკიდნენ.

ნატო ოგოლაძე

„ნორჩი ეკონომისტის სკოლაში“ ძალიან ბევრი რამ გავიგე ეკონომიკის შესახებ. ძალიან მადლიერი ვარ ჩემი მასწავლებლების და უკვე გადავწყვიტე, რომ სწავლას თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გავაგრძელებ,“ — გვითხრა 13 წლის ნატალი ფოჩხუამ.

წინა წლისგან განსხვავებით, საბავშვო უნივერსიტეტის პროექტში სრული პროფესორების გარდა, ახალგაზრდა კადრები — ასოცირებული პროფესორებიც იყვნენ ჩართულნი. „ნორჩი ეკონომისტის სკოლის“ კოორდინატორის მარი უკლებას განცხადებით, ამ ფაქტმა პროექტი კიდევ უფრო წარმატებული გახადა.

პროექტ „ნორჩი ეკონომისტის სკოლის“ პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის სარეკლამო აქციების გამართვა და მოსწავლეების ინფორმირება იგეგმება. საჯარო სკოლებში სპეციალურად მომზადებული პრეზენტაციები მოეწყობა, რომლებიც საბავშვო უნივერსიტეტის მუშაობის პროცესს ასახავს.

„ვინაიდან ამ პროექტში სკოლის ასაკის მოსწავლეები არიან ჩართულნი, ლექცია მხოლოდ 45 წუთი გრძელდება. შემდეგ უკვე კითხვა-პასუხის რეჟიმში გადავდივართ. შარშან ორიენტაცია გვქონდა აღებული მეცხრე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებზე, წელს მოვიდნენ მეშვიდე და მერვე კლასელებიც. მიუხედვად იმისა, რომ ასეთი დაბალი კლასის მოსწავლეებს ვმასპინძლობდით, ისინი მაინც აქტიურობდნენ და აღმოჩნდა, რომ დაბალკლასელებიც მშვენივარად უღებენ ალღოს ეკონომიკის სპეციალობას,“ — აღნიშნა „ნორჩი ეკონომისტის სკოლის“ კოორდინატორმა მარი უკლებამ.

გამოსაშვებ საღამოზე ყველაზე აქტიურ 13 მოსწავლეს საბავშვო უნივერსიტეტისგან სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. საჩუქრები მიიღეს იმ პროფესორ-მაწავლებლებმაც, რომლებიც „ნორჩი ეკონომისტის სკოლაში“ ლექციებს კითხულობდნენ. მოსწავლეებს შეხვდნენ და წარმატებები უსურვეს საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორმა მარინა ლომოურმა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ელენე ხარაბაძემ.

საბავშვო უნივერსიტეტის შექმნის იდეა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციტივა იყო. პროექტის მიზანი სკოლის მოსწავლეებისთვის საუნივერსიტეტო პოტენციალის გაცნობა გახლავთ. საბავშვო უნივერსიტეტში მოსმენილი ლექციები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, უმაღლესი სასწავლებლის გარემოს მიეჩვიოს და გაცნობიერებულად აირჩიოს პროფესია.

„დაკარგულებში“ აღმოჩენილი პოეტი

ახალგაზრდა პოეტის ლექსო დორეულის შემოქმედებას უკვე საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს. ლექსო დორეული გახდა თსუ-ის მუზა, 15 ივნისს კი თსუ-ში საკუთარი წიგნის პრეზენტაცია გამართა. „დაკარგულები“ მისი პირველი წიგნია და მასში ავტორის 60-მდე ლექსია შესული.

წიგნის „დაკარგულების“ პრეზენტაციას თსუ-ის სტუდენტები, ახალგაზრდა პოეტები, ავტორის მეგობრები, პოეტი მიხეილ გოგუაძე და თსუ-ის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. საღამოზე ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს კონსერვატორიიდან მოწვეულმა სტუდენტებმა, წიგნიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხა თავად ავტორმა და, ასევე, მისმა მეგობრებმა.

ნატო ოგოლაძე

„ლექსო ძალიან ნიჭიერი, ჭკვიანი და მშრომელი ახალგაზრდაა, მჯერა, რომ ის ნამდვილად ავა მწვერვალზე და კიდევ ძალიან ბევრ კარგ ლექსს შექმნის“, — აღნიშნა პოეტმა მიხეილ გოგუაძემ.

„ლექსომ 13-14 წლის ასაკში დაიწყო ლექსების წერა. როდესაც წიგნისთვის მის ლექსებს ვარჩევდი, სპეციალურად სხვადასხვა წლებში დაწერილი ლექსები შევიტანე, რადგან არ ეტყობა, თუ ასეთი პატარას დაწერილია. საქართველოში მის ასაკში ასეთი სიმაღლისთვის არც ერთ პოეტს არ მიუღწევია, თუმცა მას კიდევ ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი“, — აღნიშნა წიგნის რედაქტორმა ზაზა კაციაშვილმა.

„დაკარგულები“ მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ სტამბაში ზაზა კაციაშვილის რედაქტორობით გამოიცა. წიგნი მხატვრულად დათო ნადირაძემ გააფორმა. პრეზენტაციაზე ლექსოს ლექსებმა მკითხველის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მათში აშკარად იგრძნობა ავტორისეული ფილოსოფიური ხედვა და სიღრმე.

„არ მეგონა ასე ლამაზად თუ ჩაივლიდა წიგნის პრეზენტაცია. ბედნიერი ვარ, რომ მკითხველს მოსწონს ჩემი ლექსები. წიგნს კრებულში შესული ერთ-ერთი ლექსის სათაური — „დაკარგულები“ ჰქვია. ეს სიმბოლურია, რადგან, სწორედ, ის არის ამ წიგნის მთავარი ღერძი და მის გარშემო ბრუნავს ყველა დანარჩენი ლექსი“, — განაცხადა ლექსო დორეულმა.

ლექსო დორეული თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულებაზე სწავლობს. გარდა იმისა, რომ თავად წერს ლექსებს, მან პოლონურიდან ქართულ ენაზე პოლონელი პოეტების ჩესლავ მილოშისა და იან ტვარდოვსკის რამდენიმე ლექსიც თარგმნა. ლექსო დორეულის ლექსების მკითხველები ფიქრობენ, რომ ახალგაზრდა პოეტი ქართულ პოეზიაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას შეძლებს.

გოჩა ხუსკივაძის ნახატების გამოფენა

თსუ-ში ლატვიაში მცხოვრები ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის გოჩა ხუსკივაძის ნახატების გამოფენა მოეწყო. 16 ივნისს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ენახათ მხატვრის 35-მდე ნახატი, რომელიც „ახალგაზრდული ცენტრის“ წევრებმა ლატვიიდან ჩამოიტანეს.

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ წევრები ლატვიაში კონფერენციაში „საქართველო-ლატვიის ურთიერთობები – წარსული, აწმყო და პერსპექტივები“ მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ. კონფერენცია ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც ქართული კულტურის წარმოსაჩენად თსუ-ის სტუდენტებმა სპეციალური გამოფენაც მოაწყვეს.

„გოჩა ხუსკივაძე ლატვიაში ვიზიტისას გავიცანით. მან გაიგო, რომ ქართველი სტუდენტები ვიყავით ჩასულები და თავისი შემოქმედება გაგვაცნო. მან ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილ გამოფენაზე საკუთარი ნამუშევრებიც მოიტანა. გადავწყვიტეთ, რომ მისი ნახატები საქართველოში ჩამოგვეტანა და საზოგადოებისათვის გაგვეცნო. გოჩა ხუსკივაძე უკვე 25 წელია ლატვიაში ცხოვრობს. ვგეგმავთ, რომ აქ პირადად ჩამოვიყვანოთ და გამოვფინოთ მისი ქანდაკებებიც“, — განაცხადა „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელმა ბიძინა ჩანქსელიანმა.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრი“ გოჩა ხუსკივაძის შემოქმედების უფრო ფართო მასშტაბიანი გამოფენის მოწყობას გეგმავს.

ანდრია ბენაშვილის ხსოვნის საღამო

თენგიზ გორდეზიანი

12 ივნისს თსუ-ის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ასტრონომიული და გეოდეზიური სკოლების ფუძემდებლის, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესორ ანდრია ბენაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.

უნივერსიტეტის რექტორატის სახელით ღონისძიების დამსწრეთ მიესალმა უნივერსიტეტის სენატის სპიკერი კახა ლორია. ანდრია ბენაშვილის, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, შესახებ მოკლედ ისაუბრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა.

ანდრია ბენაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ ისაუბრა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სახელით დამსწრეთ მიესალმა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი რ. გაჩეჩილაძე.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ასევე: ვახუშტის ინსტიტუტის, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფიული ცენტრის წარმომადგენლები.

ღონისძიების მეორე ნაწილი მიეძღვნა მოხსენებებს გამოჩენილი მეცნიერის მემკვიდრეობის შესახებ.

მოხსენება თემაზე: ,,ანდრია ბენაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა", გააკეთა ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოდეზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფესორმა მ. თევზაძემ. მან ვრცლად ისაუბრა ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობაზე გეოდეზიაში, ასევე მისი წვლილის შესახებ თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის, ხოლო შემდგომ კი მის ბაზაზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში.

პროფესორ ჯ. კეკელიას მოხსენებაში „ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში" ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტში ასტრონომიისა და გეოდეზიის დამკვიდრებასა და განვითარებაში გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის შეტანილ წვლილზე.

ღონისძიების წამყვანის, ასოცირებული პროფესორის, თენგიზ გორდეზიანის მოხსენებაში აქცენტი გაკეთდა ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობაზე კარტოგრაფიაში. მომხსენებელმა წარმოადგინა ის ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც გასული საუკუნის 30-იან წლებში პირველად დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საინტერესო იყო თბილისში არსებული ანდრია ბენაშვილის სახელობის სკოლის დირექტორის, ც. ბენაშვილის მოხსენება ,,ანდრია ბენაშვილი, როგორც პედაგოგი". მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა თავისი დიდი წინაპრის პედაგოგიურ ალღოსა და ნიჭზე.

სტუდენტის გადასახედიდან ანდრია ბენაშვილის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის ნაღვაწის შესახებ საინტერესო მოხსენება-პრეზენტაცია გააკეთა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეომორფოლოგიისა და კარტოგრაფიის ქვემიმართულების IV კურსის სტუდენტმა პ. დვალაძემ.

საინტერესო იყო ანდრია ბენაშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეთა: ნ. კაპანაძის გ. ნათენაძის, მ. ბენაშვილის გამოსვლები — „რა ვიცით ანდრია ბენაშვილის შესახებ".

პროფესორი ანდრია ბენაშვილი გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა იმ კოჰორტას ეკუთვნის, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო მოღვაწეობის ისტორიაში. იგი

„ანდრია ბენაშვილმა ბუნებისმეტყველების მთელ დარგში წარმოაჩინა ჩვენი ხალხის ნიჭიერება"

ივანე ჯავახიშვილი

ქართული გეოდეზიური და ასტრონომიული სკოლის ფუძემდებლად მიიჩნევა. ანდრია ბენაშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა თბილისის უნივერსიტეტში ასტრონომიის, კარტოგრაფიის და გეოდეზიის დამკვიდრებისა და განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

ანდრია ბენაშვილი დაიბადა 1868 წლის 23 მარტს. განათლების მიღების შემდეგ, 1902 წლიდან, იგი მიიწვიეს პეტერბურგის გეოდეზიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ, საიდანაც იწყება ანდრია ბენაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა უმაღლეს სკოლაში, რაც თითქმის 40 წელი გრძელდებოდა. ამ თანამდებობაზე იგი 1916 წლამდე მუშაობდა. პარალელურად, 1905 წლიდან 1916 წლამდე, იყო გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრის გამგე სამხედრო საინჟინრო აკადემიაში, სამხედრო ტოპოგრაფიის კურსს კითხულობდა პავლოვისა და მიხაილოვის სამხედრო სასწავლებელში.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ფრონტებზე გენერალური შტაბის ოფიცერთა დიდი ნაკლებობის გამო, ანდრია ბენაშვილი მოქმედ არმიაში წავიდა. აქედან იწყება მისი წარმატებები სამხედრო საქმეში: იგი იყო პოლკის მეთაური, დივიზიის შტაბის უფროსი, 32-ე საარმიო კორპუსის უფროსი. მან გენერალ-ლეიტენანტის ჩინს მიაღწია. 1918 წლის იანვრიდან გაიგზავნა კავკასიის ფრონტზე ზურგისა და მომარაგების ჯარების უფროსად.

ანდრია ბენაშვილის საქართველოში ჩამოსვლა დაემთხვა უნივერსიტეტის გახსნისთვის სამზადისის დამამთავრებელ ეტაპს. იგი მხარში ამოუდგა დიდ ივანე ჯავახიშვილს ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა, მეორე კი, 1918 წლის 17 იანვარს პეტრე მელიქიშვილის ბინაზე. მას უკვე ესწრებოდა პროფესორი ანდრია ბენაშვილი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევაში, ამიტომაც უნივერსიტეტის დამაარსებელთა რიგებს მისი სახელი სამართლიანად მიეკუთვნება. აქვე არ შეიძლება სიამაყით არ ითქვას, რომ ანდრია ბენაშვილის – გამოჩენილი პროფესორის ყოფნა უნივერსიტეტის პროფესორთა პირველ კოლეგიაში სოლიდურობას სძენდა ამ საქმეს.

1919 წლის 19 მარტს, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო გაერთიანებული ფაკულტეტის სხდომაზე, პროფესორ პეტრე მელიქიშვილისა და ანდრია ბენაშვილის მოხსენებათა საფუძველზე თბილისში არსებული ფიზიკური ობსერვატორია, რომლის დირექტორადაც ანდრია ბენაშვილი ითვლებოდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა

1919 წლის 13 ოქტომბრიდან პროფესორ ანდრია ბენაშვილს სამათემატიკო – საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა დაეკავა. იგი, როგორც დეკანი, ხელმძღვანელობდა ასევე პროფესორთა საბჭოს 1919 წლის 17 დეკემბრის სხდომას, სადაც ივანე ჯავახიშვილი, მიუხედავად ამ უკანასკნელის წინააღმდეგობისა, თბილისის უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი იყო ყველა იმ საორგანიზაციო ღონისძიების აქტიური მონაწილე, რომელთა საფუძველზეც 1922 წლის იანვრიდან თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რამაც შემდეგ საფუძველი დაუდო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი, როგორც სამხედრო სპეციალისტი, საქართველოში ტოპოგრაფიისა და გეოდეზიის ფუძემდებლად ითვლება. იგი 1918 წლიდან ხელმძღვანელობდა სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებას არმიის შტაბში.

1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველო გასაბჭოვდა, ანდრია ბენაშვილს, როგორც რევოლუციამდელი არმიის გენერალ-ლეიტენანტს, არც კი უფიქრია სამშობლოს დატოვება. სამშობლოს ერთგული სამსახური მას ცხოვრების მთავარ მიზნად და პატრიოტის წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიაჩნდა. მისი ხელმძღვანელობით ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების დიდ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი გეოდეზისტები და კარტოგრაფები: გ. ქავთარაძე, თ. რუსიშვილი, კ. იორდანიშვილი, გრ. ხუნჯუა, მ. ქავთარაძე, ნ. თევზაძე. უდიდესია ა. ბენაშვილის წვლილი ასევე ქართველ კარტოგრაფთა აღზრდაში.

1918 წელს, ანდრია ბენაშვილის ინიციატივით, თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე უძველესი — ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრა, რომლის ბაზაზეც შემდგომ ეტაპზე ჩამოყალიბდა ასტრონომიისა და კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრები.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში გეოგრაფიული ინსტიტუტის შექმნისა, სადაც იმუშავებდნენ ასტრონომ-გეოდეზიის, ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის უმაღლესი სპეციალისტები.

მან გამოსცა სფერული ასტრონომიისა და სფერული ტრიგონომეტრიის, უმაღლესი გეოდეზიისა და ტოპოგრაფიის პირველი ქართული სახელმძღვანელოები, ასევე გამოსცა 1929 წელს ტექნიკური პირობითი ნიშნებისა და დამწერლობის ნიმუშების ალბომი.

იმავე პერიოდში პროფესორი ანდრია ბენაშვილი ახლად შექმნილ სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, მელიორაციული, ტრანსპორტის, ინჟინერთა, სამთო-მეტალურგიულ და ინდუსტრიულ დარგობრივ ინსტიტუტებში ასტრონომიისა და გეოდეზიის პროფესორად და კათედრის გამგედ მიიწვიეს.

ანდრია ბენაშვილი, დაარსებიდანვე მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1936 წლიდან გარდაცვალებამდე (1941წ.) – სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1928 წელს აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსებიდან 10 წლისთავი. ჩვეულებრივ სიტყვაძვირი ანდრია ბენაშვილი თავის ბარათში აუცილებლად თვლის გულმხურვალედ აღნიშნოს ივანე ჯავახიშვილის დამსახურება. 1928 წლის 8 თებერვალს იგი წერდა: „დიდად პატივცემულო და ძვირფასო ბატონო ივანე, დღევანდელ დღეს მოგილოცავთ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავს და სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, რათა მოგეცეთ საშუალება, განახორციელოთ ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტისა და სამშობლოსათვის ყოველივე ის, რაც თქვენი სიცოცხლის ოცნებას შეადგენს. საქართელო თავის დღეში არ დაივიწყებს იმ უსაზღვრო სიკეთეს, რომელიც თქვენ დასდეთ დიდებული ტაძრის შექმნით, თქვენი სახელი, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი, მარადის უნივერსიტეტის შუბლზე წარუხოცელად იქნება აღბეჭდილი და ვით ელვარე კანდელი, მუდამ უჩვენებს საქართველოს ახალ თაობას ჭეშმარიტად გზას, რომელიც მიიყვანს ჩვენს სამშობლოს ბედნიერების სამყაროში.

გილოცავთ წერილის საშუალებით. არ მინდა შეგაწუხოთ პირადი მოსვლით. ჩემი ოჯახიც მოგიძღვნით თქვენ უღრმეს პატივისცემას და გულითად მილოცვებს უნივერსიტეტის ამ ბედნიერ დღეს. გთხოვთ გადასცეთ თქვენს საყვარელ ოჯახს ჩემი უღრმესი პატივისცემა და გულწრფელი მილოცვა. მარად თქვენი პატივისმცემელი და ყოველი ბედნიერების მოსურნე, ანდრია ბენაშვილი".

ანდრია ბენაშვილის საუნივერსიტეტო მოღვაწეობა განსაკუთრებული რუდუნებით თავს ევლება ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგებს, როგორებიცაა კარტოგრაფია და გეოდეზია. 1918 წელს მან დააარსა ჩვენს უნივერსიტეტში გეოგრაფიული პროფილის კათედრებს შორის ყველაზე ძველი — ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრა. სწორედ აქედან დაედო სათავე საუნივერსიტეტო კარტოგრაფიას და გეოდეზიას. მასვე ეკუთვნის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები ამ დარგებში: ა) ტოპოგრაფია (დაბალი გეოდეზია); ბ) ცდომილებათა თეორია.

1922 წელს ანდრია ბენაშვილის თაოსნობით უნივერსიტეტში შეიქმნა გეოგრაფიის კაბინეტი, რომელიც შემდგომში კარტოგრაფიის ინსტიტუტად გადაკეთდა. შემდგომ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ანდრია ბენაშვილის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტში ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კათედრის მოღვაწეობა (1936—1943 წწ.). ამ კათედრას მისი მოსწავლე სერგი ცხაკაია ხელმძღვანელობდა. ანდრია ბენაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა დარგულმა ნერგმა იხარა და მრავალი წარმატებული მეცნიერისა და პრაქტიკოსის აღმზრდელი გახდა. მათ შორის სრულიად თამამად შეიძლება დავასახელოთ ანდრია ბენაშვილის მოსწავლეები და მოსწავლეთა მოსწავლეები: ნ. თევზაძე, ს. ცხაკაია, გ. ქავთარაძე, მ. ქავთარაძე, გრ. ხუნჯუა, ალ ასლანიკაშვილი, ვ. ჭეიშვილი, ი. ქართველიშვილი, ნ. ბერუჩაშვილი. დღეს წარმატებით მოღვაწეობენ: ჯ. კეკელია, გ. ლიპარტელიანი და სხვანი.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა 1941 წლის 28 ივნისს სოხუმში. მისმა მოსწავლეებმა, პროფესორ ნიკოლოზ თევზაძის თაოსნობით, საყვარელი მასწავლებლის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. იგი დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1988 წელს მადლიანმა თაობამ დიდი პატივისცემით აღნიშნა გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის, ანდრია ბენაშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილე, რომელსაც უნივერსიტეტის მაშინდელი პრორექტორი პროფესორი სერგო ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა.

უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ბროშურას, რომელშიც ასახულია მეცნიერისა და პედაგოგის განვლილი გზა და სამეცნიერო – პედაგოგიური მოღვაწეობა, დასაწყისში ამშვენებს მნიშვნელოვანი წარწერა: „სანამ არსებობს საქართველო და ქართველი ხალხი, იქნება ცოცხალი უნივერსიტეტი". ეს სიტყვები ანდრია ბენაშვილს ეკუთვნის.

ეთერ ხიტალიშვილის ხსოვნას

ეთერ ხიტალიშვილი საქართველოს ერთ-ერთი მთიანი რეგიონის — დუშეთის რაიონის სოფელ არანისში დაიბადა. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მან სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. აღნიშნული სპეციალობის დამთავრების შემდეგ იგი აგრძელებს მოღვაწეობას ფიზიკური გეოგრაფიის (მოგვიანებით ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის) კათედრაზე ლაბორანტობიდან უფროსი მასწავლებლის თანამდებობამდე.

ეთერ ხიტალიშვილის პედაგოგები იყვნენ ცნობილი ბუნებისმეტყველები: მ. სანებლიძე, ქრ. ჯაყელი, მ. საბაშვილი. გრ. დევდარიანი და სხვ. მისი სამეცნიერო ინტერესები განისაზღვრებოდა მდ. არაგვის აუზის მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემოსა და საქართველოს დაცული ტერიტორიების კვლევებით, რომელთაც მიუძღვნა 30 -მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ეთერ ხიტალიშვილი იყო საუკეთესო პედაგოგი. მას საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა, თუმცა მრავალი სტუდენტის მიმართ იჩენდა მშობლიურ მზრუნველობას. ის ამაყობდა თავისი მშობლებით და დედმამისშვილებით. ხშირად საუბრობდა თავისი მამის მიერ რაიონში გაკეთებული კეთილი საქმეების შესახებ. მას ახარებდა თავისი დისა და ძმის წარმატებული საქმიანობა. მისთვის ყველაზე მტკივნეული დისშვილის — გოგიტას ტრაგიკული დაღუპვა იყო.

მიუხედავად საკმაო ასაკისა, მისი გარდაცვალება მოულოდნელი იყო მეგობრებისა და კოლეგებისთვის. ჩვენგან წავიდა გეოგრაფიის ერთგული და პატრიოტი, უაღრესად კეთილსინდისიერი და მშრომელი ადამიანი, რომლის ხსოვნაც დაუვიწყარი იქნება.

გეოგრაფიის მიმართულება

„უნივერსიტეტიდან არასდროს მიდიან“

თამარ მარუაშვილი

„ჩვენ გვიყვარს თსუ“, „უნივერსიტეტიდან არ მიდიან“, „ჩვენ დავბრუნდებით!“, „მადლობა თსუ-ს“, „მიგვაქვს ცოდნა და მოგვაქვს სახელი“ — ასეთი სამახსოვრო წარწერებით აჭრელდა 10 ივნისს თსუ-ის V კორპუსის კედლები, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დღეს აღნიშნავდნენ.

ყველა ღელავს, ყველა გახარებულია, არის ცრემლებიც... სიხარულის და უკვე მონატრების... თითოეულის თვალში კითხულობ სტუდენტობასთან გამომშვიდობების ფარულ სევდას და წარმატებული მომავლის იმედს. აქ ტოვებენ სიყმაწვილის საუკეთესო წლებს და ცხოვრების რთულ გზაზე მიაქვთ მეგობრობა და სიყვარული, რომელსაც ერთი დიდი გრძნობა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიყვარული აძლიერებს და აერთიანებს!

კურსდამთავრებული ბაკალავრები და მაგისტრები სამახსოვრო წარწერებით ამშვენებდნენ ერთმანეთის მაისურებს და სევდაშეპარული ღიმილით იხსენებდნენ იმ საუკეთესო სტუდენტურ წლებს, რომლებიც დედაუნივერსიტეტში გაატარეს. უკვე მესამე წელია, რაც თსუ-ში კურსდამთავრებულთა დღე აღინიშნება.

„ძალიან სევდიანი ვარ, თან მიხარია, თან გული მწყდება.. აქ გატარებული წლები არასდროს დამავიწყდება. აქ მივიღე დიდი ცოდნა, შევიძინე უამრავი მეგობარი, ჩამოვყალიბდი პიროვნებად და დღეს ამაყი ვარ, რომ თსუ-ის კურსდამთავრებული მქვია“... — განაცხადა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების ბაკალავრმა ქეთევან ბაქანიძემ.

„ოთხი წლის მანძილზე უნივერსიტეტმა მარტო პროფესიული უნარ-ჩვევები კი არ შემძინა, არამედ მასწავლა — როგორ ვატარო ღირსეული მოქალაქის სახელი. ამ კედლებთან გამომშვიდობება არ მიწევს, რადგან მაგისტრატურაში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას“... — სიამაყით აღნიშნა ბაკალავრმა ზაზა ცინცაძემ.

„სწავლის პროცესში ისე აქტიურად ვიყავით ჩაბმული, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ გავიდა სტუდენტობა... აქ პროფესიული ცოდნის გარდა, ბევრი მეგობარი შევიძინეთ და კიდევ ბევრი ისეთი რამ ვისწავლეთ, რაც ცხოვრების სწორად წარმართვაში დაგვეხმარება. დიდი მადლობა ყველას, ვინც თავდაუზოგავად შრომობდა, ვინც ჩვენი ქვეყნის კულტურული, სულიერი საგანძურის სიყვარული და მოვლა-პატრონობა გვასწავლა“, — მადლიერებით აღნიშნა ქართული ლიტერატურის მიმართულების ბაკალავრმა მედეა რამიშვილმა.

დიდი სიყვარულის, პატივისცემის, თანადგომის გამოხატულება იყო სტუდენტების ის საყოველთაო აჟიოტაჟი, რომელიც ფოიეში ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დარეჯან თვალთვაძის გამოჩენამ გამოიწვია. იგი ცრემლმორეული ეფერებოდა, არიგებდა თითოეულ მათგანს და სამახსოვრო სურათებს იღებდა...

წელს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაახლოებით 600 სტუდენტი ამთავრებს ბაკალავრიატს, 100-მდე კი მაგისტრატურის ბოლო კურსზეა.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებმა თსუ-ის V კორპუსის ფოიეში ფოტოებისა და სამახსოვრო ჩანაწერების კუთხეები მოაწყვეს, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები... საზეიმო ცერემონიამ თსუ-ის VIII კორპუსის სააქტო დარბაზში გადაინაცვლა, სადაც სტუდენტებს გზა დაულოცეს თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა და პროფესიული წარმატებები უსურვეს.

„დღეს განსაკუთრებული დღეა! თქვენ პირველი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ხართ და ეს სახელი დიდი სიამაყით და მონიწებით უნდა ატაროთ... მნიშვნელობა არ აქვს სად იქნებით, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ სულჩადგმული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ხართ! თქვენ ტოვებთ უნივერსიტეტს, როგორც უნივერსიტეტის შვილები. ბევრი თქვენგანი კი მალე მაგისტრებად დაგვიბრუნდება.

მინდა გადმოგცეთ თსუ-ის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას თბილი მოლოცვა და მთელი უნივერსიტეტის სახელით გისურვოთ წარმატებები და პროფესიული ზრდა. ყოველთვის გახსოვდეთ — „ვისი გორისანი ხართ!“, — ასე დაასრულა თავისი მისასალმებელი სიტყვა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

კურსდამთავრებულებს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის

დირექტორი, პროფესორი რისმაგ გორდეზიანი მიესალმა: „გილოცავთ უნივერსიტეტის დამთავრებას, ახალი ცხოვრების დაწყებას. ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ განსაკუთრებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ხართ. დღეს, რეალურად, ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის კლასიკურ გაგებას, სადაც წარმოდგენილია ყველა საფაკულტეტო დისციპლინა. სხვა საკითხია, როგორ მოახერხეთ ამა თუ იმ სპეციალობის დაუფლება, მაგრამ ფაქტია, რომ აქედან უნივერსიტეტის დიდი სიყვარული გაგყვებათ. ვისურვებდი, რომ თსუ-ს, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებს, ჰქონდეს განსაკუთრებული დაფა, სადაც აღინიშნება თითოეული კურსდამთავრებულის შემდგომი წვლილი, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. გარწმუნებთ, რომ ამ დაფაზე საპატიო ადგილს სწორედ ჰუმანიტარები დაიკავებენ, რადგან მომავალი ჰუმანიტარებისაა! გისურვებთ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

სტუდენტებს მიულოცეს და წარმატებები უსურვეს თსუ-ის პროფესორებმა გურამ გოგელიამ, მანანა რეხვიაშვილმა და სხვებმა...

შემდეგ კი ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ კურსდამთავრებულთა მემორანდუმი წაიკითხა, რომელსაც პირველად 2008 წლის 19 ივნისს მოეწერა ხელი. მემორანდუმს ხელს აწერენ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა თაობის გამოჩენილი და სახელგანთქმული კურსდამთავრებულები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამ დღეს დაარსდა აგრეთვე „კურსდამთავრებულთა კლუბი“, სადაც გაწევრიანება შეუძლია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა კურსდამთავრებულს.

კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს ფაკულტეტის საქმიანობის პოპულარიზაციას, მხარი დაუჭიროს ფაკულტეტის ყველა მნიშვნელოვან წამოწყებას, დაეხმაროს სტუდენტებსა და ახალგაზრდა პროფესიონალებს თვითრეალიზაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციაში.

„მზად ვართ, ყოველთვის ვიყოთ საუნივერსიტეტო იდეალების ერთგულები, ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება უშურველად გადავცეთ მომავალ თაობას, ვაზიაროთ ისინი უნივერსიტეტის საუკეთესო ტრადიციებს, რათა შევინარჩუნოთ უწყვეტი კავშირი თაობებს შორის“, — ნათქვამია მემორანდუმში.

უნივერსიტეტის ჰიმნის ფონზე მემორანდუმს ხელი მოაწერეს ახალმა კურსდამთავრებულებმაც.

საზეიმო ცერემონიალზე წარჩინებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ სიგელებით წარჩინებული სწავლისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის.

ღონისძიების ბოლოს სცენა თსუ-ის კულტურის ცენტრის წარმომადგენლებს დაეთმოთ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ვაჟთა და ქალთა ვოკალური ანსამბლები, ხოლო ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმატებული მუსიკალური დებიუტი წარმოადგინეს.

უკვე მესამე წელია, რაც თსუ-ში კურსდამთავრებულთა დღე აღინიშნება.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11° (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	სალომე მახარაძე		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე		22 36 62